## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისოურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

### ეკა კასრაძე


# 2008 წლის აგვისტოს ომი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად


ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

კსუ-ს პროფესორი



თბილისი 2019

# ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა  აქტუალურია დღესაც, რადგან ნაშრომი მოიცავს რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობებს, 2008 წლის აგვისტოს ომს და ომიშ შემდგომ პერიოდს. ამასთანავე ნაშრომში გაანალიზებულია ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობათა ისტორიული ეტაპები, რომელიც მოიცავს გეორგიევსკის ტრაქტატიდან დაწყებული ურთიერთობების პერიოდს და ქრონოლოგიურად გრძელდება  შემდგომში განვითარებული მოვლენების შესაბამისად.

ნაშრომში გაანალიზებულია  2008 წლის აგვისტოს ომი, ომის გამომწვევი მიეზეზები  და შემდგომი პერიოდი, ასევე ორ ქვეყანას შორის განვითარებული ურთიერთობები. ამ ისტორიული რაკურსის მიმოხილვის შემდეგ, ვეხებით 2008 წლის ომის მიზეზებსა და შედეგებს, დასავლეთის პოზიციასა დ არუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რაც ამ ორსახელმწიფოს შორის ურთიერთობების ყველაზე უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ვითარება გავლენას ახდენს ეკონომიკურ ასპექტებზეც, რომლის ძირეული ანალიზიც ასახულია წინამდებარე ნაშრომში.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, აგრეთვე, პოლიტიკური პერსპექტივები და სამოქალაქო საზოგადოების როლი, თუ როგორ შეიძლება მოქალაქეების ჩართულობით ურთიერთობის აღდგენა,ასევე ის სავარაუდო სცენარები, რომლის პროგნოზირებაც უკვე შესაძლებელია არსებული ვითარებიდან გამომდინარე.

Annotation

2008 August war end perspeqtives of regulation of Russian-Georgian Relations

The subject of the Master's Thesis is relevant today, since the work involves such topics as relations between Russia and Georgia, the August 2008 war and the post war period. In addition, the work analyzes the historical stages of relations between these two countries, including the period from the Treaty of Georgievsk and chronologically continues according to the subsequent developments.

The August 2008 war, causes of the war and the subsequent period are analyzed in the work, as well as developed relations between these two countries. After reviewing this historic perspective, we study to the causes and consequences of the 2008 war, the position of the West and the recognition of independence of Abkhazia and so called South Ossetia by Russia, which represents one of the biggest problems of relations between these two states. It is noteworthy that the current situation between Georgia and Russia influences economic aspects, the fundamental analysis of which is reflected in this work.

Political perspectives and the role of civil society is discussed in this work, as to how it is possible to restore relations through the involvement of citizens, as well as the estimated scenarios that can be predicted on the basis of the current situation.

Eka Kasradze

# შინაარსი

შესავალი ________________________________________ გვ 6

**თავი** I რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიული ეტაპები

&1.1. საქართველოს რუსეთთან შეერთება და გეორგიევსკის ტრაქტატი________ გვ 12

&1.2. საქართველოსდამოუკიდებლობა 1918-1921წწ. ________________________ გვ 18

&1.3. 1921წლისოკუპაცია ________________________________________ გვ 25

**თავი** II. რუსეთ-საქართველოსშორისგანვითარებულიურთიერთობებისაბჭოთაკავშირისდაშლისშემდგომ

&2.1. პოსტსაბჭოთასაქართველოსსაგარეოპოლიტიკის პრო დასავლურივექტორი ________________________________________ გვ 29

&2.2. საქართველო დასავლეთისა და რუსეთის ინტერესებში ________________ გვ 34

&2.3.საქართველოშიარსებულიკონფლიქტებიდარუსეთისფაქტორი ______ გვ 38

**თავი** III 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები

&3.1. 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები და დასავლეთის პოზიცია ________________________________________ გვ 45

&3.2. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები________________________ გვ 50

&3.3. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება________________________________________ გვ 54

**თავი** IVრუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივები

4.1. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე ________________________________ გვ 58

4.2. ეკონომიკური ასპექტები________________________________________________ გვ 62

4.3. პოლიტიკური პერსპექტივები __________________________________________ გვ 65

დასკვნა ______________________________________________________________________ გვ 69

ბიბლიოგრაფია ____________________________________________________________ გვ 72

# შესავალი

დღესდღეისობით საკმაოდ მნიშვნელოვანია 2008 წლის აგვისტოს ომი და საქართველო-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობა, სადაც საქართველოს დაახლოვებით 22% ითვლება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და ამასთან ერთად ჩვენი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობაა.

ვფიქრობ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები აქტუალური და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უკანასკნელმა, 2008 წლის, ომმა დღემდე დაგვიტოვა ცხელი წერტილები, რაც გულისხმობს რუსეთის ფედერაციის მიერ დაკავებულ საქართველოს ტერიტორიებსა და აქ განლაგებულ სამხედრო შენაერთებს.

ამასთანავე 2008 წლის ომი წარმოადგენდა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ბრძოლის ნაწილს, ბრძოლა, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს.

ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თემა მიზნად ისახავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს,ისტორიული რეალობას, აწმყოს ანალიზს, დღევანდელ მდგომარეობას, ვითარების ობიექტურად შეფასებას სამომავლო ურთიერთობის გასაუმჯობესებლად და სხვ.

**თემის აქტუალობა:** სკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ომის გამომწვევი მიზეზები და დარეგულირების მექანიმები. თანამედროვე დროში მსოფლიოში ცდილობენ ებრძოლონ XXI საუკუნის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დადგენასა და დარეგულირებას.იმისდა მიუხედავად, რომ 2008 წლის ომიდან დღემდე თითქმის 11 წელი გავიდა, თემა აქტუალურია დღესაც, აქტუალურია ასევე რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობები, პოლიტიკური ასპექტები და სხვ. რაც დრო გადის სულ უფრო მეტი კითხვა იბადება, არსებობს ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა, რაც უფრო მეტად ამძაფრებს სიტუაციას.

საკვლევი კითხვები:

1)რა იყო 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები?

2) იყო თუ არა შესაძლებელი ომის თავიდან აცილება?

3) რა პერსპექტივები არსებობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დასარეგულირებლად?

**ჰიპოთეზა:** 2008 წლის ომის დაწყების ძირითადი მიზეზია საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფვა და ღიად ნატოში გაწევრიანების სურვილი. რაც რუსეთის ფედერაციისთვის მიუღებელია და ის მიიჩნევს აღნიშნულ პროცესს საკუთარი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველელ ფაქტორად. ომის დაწყება და სტრატეგიები რუსეთს კარგა ხნით ადრე ჰქონდა დაგეგმილი იმისდა მიხედვით თუ,როგორ პოლიტიკას გაატარებდა საქართველოს ევრო-ინტეგრაციის გზაზე. საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების მექანიზმები არსებობს და შესაძლებელია კონკრეტული გზების გამონახვა. მაგრამ საბოლოო შედეგის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის მიდგომებს შემუშავება და ასევე პრაგმატული პოლიტიკის გატარება.

**თემის მიზნები და ამოცანები:**

მიზნები:

2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების მიზეზების დადგენა;

საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწარაფებების გზაზე მოსალოდნელი საფრთხეების დადგანა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში.

ამოცანები:

არსებული კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმების წარმოჩენა;

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების ობიექტური შეფასება და გაანალიზება.

**კვლევის მეთოდოლოგია:**

1)რა არის  ძალთა ბალანსის თეორია?ძალთა ბალანსი ან ძალთა წონასწორობა — ერთ–ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

2) სექურითიზმის თეორია - უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ოლი ვივერის, ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს.

3) რეალიზმის თეორია -პოლიტიკური რეალიზმი იყო პასუხი ლიბერალიზმზე, რომლის ამოსავალი დებულება მდგომარეობდა იმაში,რომ სახელმწიფოები არ ცდილობენ თანამშრომლობას.საერთაშორისოურთიერთობათამეცნიერებაშიერთ-ერთიყველაზეგავრცელებულითეორია, რომლისმიხედვითსაერთაშორისოურთიერთობებშიძირითადისუბიექტისახელმწიფოა, ძირითადიმამოძრავებელიიდეა-სახელმწიფოსეროვნულიინტერესები, განმსაზღვრელიფაქტორი - ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლოძირითადირეგულატორი -ძალთაწონასწორობა, რასაცემორჩილებასაერთაშორისოსამართალიდამორალი.[1]

**მეთოდები**

1) თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

2) შემთხვევის გარჩევა Case study- დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში;

3) ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაეფუძვნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს;

[1]პოლიტიკურირეალიზმი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5813 .გვ.1.

4) თვისობრივი კვლევის მეთოდები:

5) მონაცემთა ანალიზი;

6) ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი. რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომის გამოცემაში ესსეის სახით;

7) ისტორიულ-აღწერილობითი

8) პოლიტიკის კვლევის ანალიზიი:

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსს, საერთაშორისო ურთიერთობების, კონფლიქტოლოგიის ექსპერტებს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ნაშრომი შეიძლება გახდეს შესაბამისი უწყებების: საგარეო საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციებს, და სხვ. გზამკვლევი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით და იყოს პრაქტიკული სახის მასალა სათანადო მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, არა მხოლოდ 2008 წლის ომის შემდგომ, არამედ წინარე პერიოდებშიც თემაში მოცემული თავების ანალიზი უამრავ მკვლევარს აქვს გამოქვეყნებული, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე მსოფლიო დონეზე და მათ შორის რუსეთშიც. უამრავი საინტერესო მოსაზრებისა და დასკვნის ფონზე აღნიშნული თემა დამუშავდა ერთი ძირითადი მოტივით, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების რეალურ წარმოჩენას ემსახურება და მოგვცემს საშუალებას, რომ ვითარება შევაფასოთ ობიექტურად მომავალი ურთიერთობების რეგულირებისთვის.

მოცემულ ნაშრომში, გამოყენებულია სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი წიგნები, რომლებიც ეხება რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის, გამომწვევი მიზეზებისა თუ

შედეგების ანალიზს, აგრეთვე, სტატიები ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ. მნიშვნელოვანია, რონალდ ასმუსის წიგნი, „მცირე ომი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო“ სადაც საუბარია ა.შ.შ-ს როლზე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე და აგვისტოს ომის გეოპოლიტიკურ ჭრილზე.

როგორც მოგახსენეთ წინამდებარე ნაშრომი არ მოიცავს მხოლოდ 2008 წლის შემდგომი ურთიერთობების ცალკეულ განხილვას და მასში სიღრმისეულად განიხილება წინარე პერიოდიც, რომელიც მოიცავს მრავალ საკვანძო ადგილს ისტორიულ ურთიერთობებში და გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ ისტორიული ფაქტები ხდება სამომავლო ურთიერთობების რეგულატორი.

**ლიტერატურულიწყაროების მიმიხილვა:**

- **მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა.** ჩვენი თემის ირგვლივ დიდი დახმარება გაგვიწია, რონალდ დ. ასმუსის წიგნმა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010).წიგნში კარგად ჩანს რუსეთსა და საქართველოს შორის ხანმოკლე ომი. 2008 წლის აგვისტოში ომი ყველასთვის მოულოდნელად დაიწყო. სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის, რონალდ დ. ასმუსის, მტკიცებით, ეს იყო კონფლიქტი, რომელიც მომზადდა და დაიგეგმა მოსკოვის მიერ. ეს იყო ერთგვარი გზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით რუსეთი 21-ე საუკუნეში მუშტების მოღერებას აპირებდა. ”მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა”, საინტერესო მოსაზრებას გვიჩვენებს რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების რღვევაზე და დასავლური ალიანსის მოშლასა და დასუსტებაზე, ასევე აღწერს დასავლეთ ევროპის ბედს ეკონომიკური კრიზისის პერიოდში.

- **„ომის სხვა სახე“**ასე ეწოდება წიგნს, რომელიც 2012 წელსორგანიაცია ”მეგობრობის ხიდი - ქართლოსი”-ს დახმარებით გამოიცა, რომელიც სამ ენაზე ქართულად,

ინგლისურად და რუსულად დაიბეჭდა. მასში მოთხრობილი ისტორიები გულგრილს არავის ტოვებს. ისინი საკუთარი სიმართლითა და რეალობით აინტერესებს საზოგადოებას. ავტორები ამბობენ, რომ წიგნში შესული არც ერთი ამბავი არაა გამოგონილი ან შელამაზებული. ეს გულისამაჩუყებელი შემთხვევები 2008 წლის ომის დროს რეალურად ხდებოდა საომარი მოქმედებების პარალელურად. წიგნზე ოსმა და ქართველმა ავტორებმა ერთდროულად იმუშავეს. ოსები ადმინისტრაციული საზღვრის გადაღმა აგროვებდნენ რიგითი მოქალაქეების მონათხრობს ომის დროს ქართველი ჯარისკაცების მიერ გამოჩენილი სიკეთის შესახებ, ქართველი ავტორები კი ანალოგიურ ამბებს ოსების შესახებ ქართულ მხარეს იწერდნენ.

# I თავი.

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიული ეტაპები

### 1.1. საქართველოს რუსეთთან შეერთება და გეორგიევსკის ტრაქტატი

მეფე ერეკლე მეორეს და ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს მდგომარეობა სტაბილური არ იქნებოდა თუ, არ გააერთიანებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს, აგრეთვე საჭირო იყო მშვიდობის უზრუნველყოფა და სტაბილურობის განმტკიცება. წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის დონე საკმაოდ მაღალი იქნებოდა. საქართველოს აღნიშნულ პერიოდში საკუთარი ძალებით ჩიხიდან გამოსვლა და თავის დაღწევა აშკარად აღარ შეეძლო, თუმცა ეს ძალედ მნიშვნელოვანი იყო, ჩვენი სამშობლო ორ ცეცხლს შუა იყო, ერეკლე მეორეს თავისი ძალებით არ შეეძლო ქვეყნის ტერიტორიების შენარჩუნება, არჩევანი ირანელი და თურქი დამპყრობლრბისა და რუსეთს შორის იყო, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, ძლიერი ქვეყნის მფარველობის ქვეშ ყოფნა საქართველოს მესვეურებს დროებით ღონისძიებად მიაჩნდათ, რაც ერთგვარ აუცილებლობასაც კი წარმოადგენდა ვითარებიდან გამომდინარე. ჯერ თეიმურაზ მეორე XVIII საუკუნის50-იან წლებში, შემდეგ ქართველი პოლიტიკოსები საბოლოოდ დაადგნენ დიდ რუსეთთან სამფარველო კავშირის გზას. ასეთი საბოლოო შებრუნება და გადაწყვეტილების ოფიციალური გაფორმება კი საბოლოო ჯამში 1783 წლის ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატით დაგვირგვინდა.[2] ერეკლე მეორე დიდ იმედებს ამყარებდა ტრაქტატით გათვალისწინებულ პირობებზე, რასაც საბოლოოდ ნანატრ მშვიდობას უკავშირებდა.

თუმცა საინტერესე იქნებოდა ის ფაქტორიც, რომ არ დაერღვია რუსეთს ტრაქტატის პირობები მოვლენების როგორი განვითარება იქნებოდა, ალბათ ბევრად უკეთესი ვითარება შეიქმნებოდა, მაგრამ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა.

---

[2]საქ. ნარკვევები. საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია.ტ.IV, გვ. 15.

XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო, რუსეთის მძლავრმა სახელმწიფომ 10 წლის განმავლობაში თანდათან შეიერთა საქართველოს სამეფო-სამთავროები. რუსული იარაღით შიშით ჩვენს ქვეყანაში შეწყდა ირანელი და თურქი დამპყრობლების თარეში. ხალხმა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მოიპოვა, მაგრამ აღნიშნული სიკეთეები იმაზე გაცილებით ადრე დასრულდა ვიდრე ელოდნენ. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა ბიუროკრატ მოხელეთა თვითნებობას, ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას და ხმა აიმაღლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფის წინაშე რუსეთის მფარველობის მოპოვების საკითხი ძალედ აქტიურად დაისვა. ამიერკავკასია იყო რუსეთისა და ირან-თურქეთის შეჯახებათა ასპარეზი, ამიტომ გასაკვირი არ იყო რომ ნეიტრალურ ზონად მას არც ერთი ქვეყანა არ დატოვებდა. საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა და ერთ-ერთ მათგანს უნდა დაკავშირებოდა. ერეკლეს ღრმა რწმენით საქართველოს მომავალი ერთმორწმუნე რუსეთთან იყო დაკავშირებული და არსებულ სიტუაციაშიც ხსნას მისგან ელოდა. მეფის რუსეთს ქართლ-კახეთი იმპერიის სამხრეთის მიმართულების პლაცდარმად სჭირდებოდა, ქართველ პოლიტიკოსებს კი ერთმორწმუნე მეზობელი მფარველ მოკავშირედ ეგულებოდათ. ორმხრივი ინტერესების დამთხვევის გამო საქმე დაჩქარდა და 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის ქ. გეორგიევსკში გაფორმდა რუსეთ-ქართლ-კახეთის მფარველობის საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებდა ორმხრივ ვალდებულებებს.

აღნიშნული ტრაქტატის მიხედვით რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, რომ მფარველობას არ მოაკლებდა ქართლ-კახეთის მეფეს. დაიცავდა ქვეყნის საზღვრებს, ქართლ კახეთის ტახტზე ყოველი ახლად ასული მეფე ვალდებული იყო რუსეთის იმპერატორისგან ყოფილიყო დამტკიცებული, მისგან მიეღო სამეფო რეგალიები და აგრეთვე ფიცი დაედო მის წინაშე. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ინიშნებოდა რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანი მინისტრი ანუ რეზიდენტი, ასევე ქართლ-კახეთის მეფეს

უფლება ჰქონდა რუსეთში გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი.[3] რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის მეფეს აღუთქვა, რომ მის მტერს მიიჩნევდა საკუთარ მტრად, დაიცავდა ერეკლესა მის მემკვიდრეებს, სამეფოს შიდასაქმეებში არ ჩაერეოდა ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობის გარეშე, არშეცვლიდა ადგილობრივ სამხედრო ადმინისტრაციულ წყობას და ა.შ. ვიდრე ჩამოთვლილი პუნქტების შეფასებას მოვახდენდეთ უმჯობესია აქვე წარმოვადგინოთ ქართლ-კახეთის მხრიდან აღებული ვალდებულებების ნუსხა.

მეფე ერეკლე პირდებოდა მუდმივ მზადყოფნას საკუთარი მხედრობით, აგრეთვე რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვას საქართველოში და მათთვის თანამდებობების მიცემას. სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი აგრეთვე იღებდა ვალდებულებას, რომ მუდმივ სამყოფელად გამოგზავნიდა ორ ბატალიონს, ოთხ ქვემეხს და საჭიროების შემთხვევაში დამატებით ძალებსაც კი დაახმარდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი პოლიტიკოსებისათვის ეს იყო რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი დაპირება, რომელიც მტრებისაგან მიტაცებული ტერიტორიების განთავისუფლებაში დახმარებას გულისხმობდა.ასეთი პირობების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, საფრთხეების სრულად ობიექტური გაანალიზების შესაძლებლობაც საკმაოდ დაბალი იყო.

მიუხედავად ამისა ტრაქტატი თავისი შინაარსით წამგებიან პოზიციებს არ შეიცავდა და 24 ივლისს 13 ძირითადი და 4 დამატებითი პუნქტისაგან შემდგარ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

- ხელშეკრულების პირველი მუხლით ქართლ-კახეთის მეფე თავისი და მემკვიდრეების სახელით აცხადებდა, რომ უარყოფდა ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსადმი რაიმე დამოკიდებულებას და ცნობდა მხოლოდ რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, აღუთქვამდა რუსეთის საიმპერატორო ტახტს

[3] ალ. ბენდიანიშვილი ,,ეროვნულისაკითხებისაქართველოში" 1801-1821წ. გვ 3-10

ერთგულებას და რუსეთის სახელმწიფოს შეწევნისათვის ყოველთვის მზადყოფნას, როცა ამას მისგან მოითხოვდნენ.

• მეორე მუხლით იმპერატორი ეკატერინე თავისი და მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა, ყოველთვის მზრუნველობა გამოეჩინა და მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამფლობელოს მთლიანად და და უკლებლად დაცვას ივალებდა. გარდა ამისა, ხელმწიფის ეს თავდებობა გავრცელდებოდა იმ ქვეყნებზედაც, რომელნიც დროთა განმავლობაში საქართველოს შეუერთდებოდნენ.

• მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ახალასული მეფე ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა სათანადო სიგელითა და ინვენსტიტურის ნიშნების გამოგზავნით. ახლად გამეფებულს რუსეთის წარმომადგენლის წინაშე საზეიმოდ უნდა მიეცა ფიცი, რომლის ტექსტიც თან ერთვოდა ტრაქტატს.

• მეოთხე მუხლში ნათქვამი იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან უცხო სახელმწიფოებთან დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობას არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში იგი მოვალე იყო რუსეთის საიმპერატორო კარის რეზიდენტს შეთანხმებოდა.

• მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ორივე მხარეს ერთმანეთის სამეფო კარზე უნდა დაენიშნა თავისი წარმომადგენელი რეზიდენტი ანუ მინისტრი.

• მეექვსე მუხლით რუსეთის იმპერატორი, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით, საქართველოს მეფეს აღუთქვამდა შემდეგს: 1. ქართლ-კახეთის სამეფოს მცხოვრებნი ჩაითვლებოდნენ რუსეთის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად და მათი მტრები რუსეთის მტრებად გამოცხადდებოდნენ. ოსმალეთთან და ირანთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირობები გავრცელდებოდა საქართველოზედაც; 2. მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი ქართლ-კახეთის ტახტზე

უცვლელად დაცულნი იქნებოდნენ; 3. ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა მთლიანად საქართველოს მეფის უფლებებში რჩებოდა. რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ საქართველოში ნებისმიერი განკარგულების გაცემა.

• მეშვიდე მუხლში ერეკლე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით დაპირებას იძლეოდა: 1. ყოველთვის მზად ყოფილიყო თავისი ჯარით რუსეთის იმპერიის სამსახურად; 2. ყოველ მნიშვნელოვან საკითხში, რაც რუსეთისადმი სამსახურს შეეხებოდა, შეთანხმებოდა რუსეთის ხელისუფალთ, დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები და დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომები ყოველგვარი განსაცდელისა და შევიწროებისაგან; 3. ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე დანიშვნისა თუ დაწინაურების დროს გაითვალისწინებდა რუსეთის წინაშე მის დამსახურებასაც.

• მერვე მუხლი საქართველოს ეკლესიის საკითხს ეხებოდა. როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხში მხარეები საბოლოოდ ვერ შეთანხმებულან. 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლეს მიერ რუსეთის საიმპერატორო კარისადმი გაგზავნილ პირობებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კათალიკოსი უნდა დარჩენილიყო თავის უფლებებში ხელშეუვალად. ამჯერად კი იგი ჩაყენებულია რუსეთის საეკლესიო იერარქიის რიგში, იგი მერვე ადგილზეა დაყენებული და სამუდამოდ მინიჭებული აქვს უწმინდესი სინოდის წევრის ტიტული. კარგი იქნებოდა საქართველოს ეკლესიის საკითხი უფრო ვრცლად განმარტებულიყო ცალკე დანართში, მაგრამ ასეთი განმარტება ტრაქტატისთვის აღარ დაურთავთ.

• მეცხრე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართველ თავად-აზნაურებს რუსეთში ისეთივე პრივილეგიები ექნებოდათ, როგორც რუსი თავად-აზნაურებს სარგებლობდნენ. ერეკლეს რუსეთში უნდა გაეგზავნა ქართველ თავად-აზნაურთა სია.

• მეცხრე, მეათე მუხლებში დადასტურებული იყო, რომ ქართლისა და კახეთის მცხოვრებთ რუსეთში გადასვლის, ასევე უკან დაბრუნების სრული უფლება ჰქონდათ. რუსეთის მთავრობა კისრულობდა თურქეთის, ირანისა და სხვათა ტყვეობიდან

გათავისუფლებული ქართველების სამშობლოში დაბრუნებას იმ პირობით, რომ ანაზღაურებულიყო მათი გამოხსნისა და გადმოყვანის ხარჯები. საქართველოს მეფე კი, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა ასევე მოპყრობოდა ტყვეობიდან გათავისუფლებულ რუსებს.

- მეთერთმეტე მუხლი შეეხებოდა ვაჭრობას. ქართველ ვაჭრებს რუსეთში თავისუფალი აღებ-მიცემობის უფლება ეძლეოდათ და ენიჭებოდათ ყველა შეღავათი, რითაც თვითონ რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ. ერეკლე კისრულობდა ვალდებულებას, რომ შეღავათები მიეცა რუსი ვაჭრებისთვისაც.

- მეთორმეტე მუხლში გამოცხადებული იყო, რომ ეს ხელშეკრულება დადებული იყო „საუკუნოდ“, მასში ცვლილების შეტანა მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით უნდა მომხდარიყო.

- მეცამეტე მუხლის მიხედვით სარატიფიკაციო ვადად დაწესებული იყო 6 თვე. დამატებით სეპარატულ (საიდუმლო) მუხლებში, რომლებიც არ უნდა გამოქვეყნებულიყო, აღნიშნული იყო, რომ ერეკლე სოლომონ იმერთა მეფესთან თანხმობით ყოფნას ივალებდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის რუსეთის იმპერატორს „მეშუამავლედ“ ცნობდა და აუცილებელ საკითხს მის მსჯავრს მიანდობდა; საქართველოში მუდმივ სამყოფად გამოიგზავნებოდა ორი ქვეითი რუსული ბატალიონი 4 ზარბაზნით, ომის შემთხვევაში ამას სხვა ძალაც დაემატებოდა: კავკასიის ხაზის უფროსს ჰქონდა რწმუნება, შეთანხმებულიყო ერეკლე მეორესთან საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის. უკანასკნელი სეპარატული მუხლით რუსეთის მხარე პირდებოდა საქართველოს მეფეს, რომ ომისა თუ დაზავების დროს რუსეთის საიმპერატორო კარი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა მტრების მიერ მიტაცებული მიწები — ახალციხე და ყარსი სამცხეში, საინგილო — აღმოსავლეთ კახეთში.

შეთანხმებას საქართველოს დელეგაციის მხრიდან ხელი მოაწერეს იოანე მუხრან-ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან გენერალ-პორუჩიკმა პავლე

სერგის ძე პოტიოვკინმა. მიუხედავად დიდი ზეიმის გამართვისა, რაშიც ორივე მხარე იღებდა მონაწილეობას უნდა ითქვას, რომ შეთანხმება პირველსავე სერიოზულ პრობლემაზე დაირღვა ცალმხრივად. თუ უფრო ჩავუღრმავდებით შესაძლოა ისიც ვთქვათ, რომ პრობლემა წამოწყების სტადიაშიც არ იყო როცა რუსეთმა 1787 წლიდან ჯარები უკან გაიწვია და მიზეზად ირანისა და ოსმალეთის შესაძლო გაღიზიანება მოიდო. რეალური მიზეზის ძიებაში მკვლევარი შესაძლოა უამრავ ვერსიას გადააწყდეს, რომელთა შორისაც ერთ-ერთი დომინანტი ეკატერინე მეორის ფიქრებია, რომელიც ერეკლე მეორის სრულ დამორჩილებამდე მიდიოდა და ამის მიღწევას მტრის წინაშე საქართველოს მარტოდ დარჩენით ცდილობდა. მოცემული პერიოდის ძირეულმა განხილვამ შესაძლოა საკვლევი თემის ჩარჩოებს აგვაცილოს, სწორედ ამიტომ უმჯობესია დასკვნის სახით აღვნიშნოთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი თავის მხრივ გახლდათ იმ დოზით მომხიბვლელი, რომ ქართულმა მხარემ ერთგვარი გავასალება ზეიმითაც მიიღო, ამას კი შემდგომში მოყვა ის, რაც მოყვა და ვფიქრობ, რომ პირველმა ნაბიჯებმა არც ისე პოზიტიური ამინდი შექმნა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებში.

## 1.2. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921წწ.

1917 წელს რუსეთიში მოხდა მოვლენა, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს თავისუფებისთვის ბრძოლაში. თებერვილის რევოლუცია, ტახტიდან ჩამოაგდეს რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II. რუსეთის იმპერია გადადის გარდამავალ პერიოდში. რომანოვების ტახტიდან ჩამოგდებამ და მათმა დევნამ, რუსეთის იმპერიულ მთლიანობას რყევა დაიწყო. სწორედ ამ გარემოებამ შექმნა საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრივობის აღდგენის პირობები. თუცა ეს

პროცესი რასაკვირველია ერთბაშად არ დაწყებულა. მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის ჯერ სამხედრო მმართველობა შემდეგ კი ფედერაციული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ორივე მათგანმა ერთად სულ 14 თვე გაძლო.

1917
წლისთებერვლისრევოლუციისშემდეგრუსეთშიფართომასშტაბიანიგარდაქმნებიდაიწყო
. 1917
წლისთებერვალშიცარისტულირეჟიმისდამხობაქმნიდაქართულიეკლესიისდამოუკიდებ
ლობისაღდგენისკარგმომენტს. 1917 წლის 12
მარტსსვეტიცხოვლისტაძარშიგამოცხადდაქართულიეკლესიისავტოკეფალია, ასეთი
ვითარებაკიკარგიწინაპირობაასაქართველოსსახელმწიფოსდამოუკიდებლობისგამოსაცხ
ადებლად.
ამიერკავკასიისპოლიტიკურმაპარტიებმადაორგანიზაციებმაარსცნესზემოთხსენებულიგ
ადატრიალებისკანონიერება. 1917 წლის 9 მარტიდან 15
ნოემბრამდეარსებობდადროებითიმთავრობისმიერშექმნილიგანსაკუთრებულიკომიტეტ
ი- ოზაკომი. 1917 წლის 15 ნოემბერსისამიერკავკასიისკომისარიატმაშეცვალა. 1918 წელს
10 თებერვალსკომისარიატისადგილიუკვეამიერკავკასიისსეიმმადაიკავა. ფაქტობრივად,
დაიწყოამიერკავკასიისრუსეთისაგანგამოყოფისპროცესი. 1917 წლის 19-22
ნოებერსშედგასაქართველოსპოლიტიკურიპარტიების,
საზოგადოებრივიორგანიზაციების,
საქველმოქმედოსაზოგადოებისადასხვაწარმომადგენლობებისკრება,
რომელმაცთავიეროვნულყრილობადგამოაცხადა. ყრილობამაირჩიაეროვნულისაბჭო.
საბჭოსთავჯდომარედკიაირჩიეს ნოეჟორდანია.

სეიმშისოციალ-
დემოკრატიულიპარტიაციღებდამონაწილეობასესპროცესიიურიდიულადდასრულდა
1918 წლის 9 (22) აპრილს,
როდესაცგამოცხადდადამოუკიდებელიამიერკავკასიისფედერაციულირესპუბლიკისშექმ

ნა, ცენტრითთბილისში. ახლადშექმნილირესპუბლიკისუმაღლესსახელმწიფოორგანოსწარმოადგენდამრავალპარტიულიშემადგენლობისსეიმი, რომლისთავმჯდომარედაირჩიესქართველისოციალ–დემოკრატინ. ჩხეიძე. მისიმოადგილეებიიყვნენსომხურიდააზერბაიჯანულიპარტიებისწარმომადგენლები.[4]ამითქართველმასოციალ-დემოკრატებმაგარკვეულიგამოცდილებამიიღესდადამოუკიდებელისაქართველოსხელისუფლებისსათავეში “სახელმწიფოებრივი” გამოცდილებითმოვიდნენ. ერთ–ერთიუმნიშვნელოვანესიპრობლემა, რომელიცამიერკავკასიურიხელისუფლებისწინაშეიდგა, იყოთურქეთთანურთიერთობისმოგვარებისსაკითხი; გრძელდებოდამსოფლიოომი, რუსეთისარმია, რომელიცთურქეთისფრონტზემოქმედებდა, დაიშალა, ჯარისკაცებმაპოზიციებიმიატოვესდასახლებშიდაბრუნდნენ, ხოლოშეტევაზეგადმოსულთურქეთისარმიასახლადჩამოყალიბებულიქართულ-სომხურირაზმებივერაკავებდნენ. აზერბაიჯანელებმაუარიგანაცხადესერთმორწმუნედაეთნიკურადმონათესავეთურქებთანბრძოლაშიმონაწილეობისმიღებაზე. სწორედთურქეთთანსაზავომოლაპარაკებებისდროსგამოჩნდაყველაზენათლადთუროგორიარამყარიიყოამიერკავკასიისგაერთიანება. სეიმისქართულ, სომხურდააზერბაიჯანულდეპუტაციებსშორისმუდმივიუთანხმოებასუფევდა. აზერბაიჯანელიპოლიტიკოსებიფაქტობრივადთურქეთსემხრობოდნენ, რომელმაცამიერკავკასიასდიდიტერიტორიულიმოთხოვნებიწაუყენა. ქართველებმადასომხებმაკიორიენტაციაგერმანიაზეაიღეს, რომმასგავლენამოეხდინათავისმოკავშირეზე. მართლაც, გერმანიისჩარევითსაქართველოგადაურჩათურქულოკუპაციას.

[4]გიორგიანჩაბაძე. საქართველოსისტორიამოკლენარკვევი. გამომცელობა კავკასიურისახლი,თბილის 2005. გვ. 22

თურქებმადაიკავესმხოლოდმისისამხრეთ–დასავლეთინაწილიქ. ბათუმით. საქართველოსსახელმწიფოებრივისუვერენიტეტისაღდგენისმომენტშისაერთაშორისოვითარებაუკიდურესადრთულიდადაძაბულიიყო. მსოფლიოომისშემდეგმეომარისახელმწიფოებისმომავალიჯერკიდევარიყოგადაწყვეტილი. ამავდროულად, საქართველოსჩრდილოეთითმძვინვარებდასამოქალაქოომი, რომლისშედეგებსსაქართველოსთვისარსებითიმნიშვნელობაენიჭებოდა. “ საქართველოსდამოუკიდებლობისგამოცხადებისსანიმუშოპროექტი ” ესპროექტიზურაბავალიშვილმაშეადგინა. იმხანად 1918 წლისმაისისპირველნახევარშიბათუმშიგანახლდასაზავომოლაპარაკებებიამიერკავკასიისსეიმსადათურქეთსშორის. ბათუმისსხდომაზედამსწრექართველებმაავალიშვილისპროექტიმოიწონეს. თუმცანოეჟორდანიამშემდეგწინდახედულინაბიჯიგადადგა. საქართველოსგამოყოფისსაკითხიმანერთბაშადსეიმისსხდომაზეარგაიტანა,არამედნიადაგიმოუსინჯაამიერკავკასიისფედერაციისდაშლასდასაქართველოსდამოუკიდებლობისგამოცხადებისგანზრახვაწინასწარსომხებისთვისგაუცვნიათავისმოგონებებში “ჩემიწარსული”, რომელიც 1953 წელსპარიზშიგამოიცაჟორდანიაწერს:

”მოვიწვიესომხებიცალკედაგავაცანიმდგომარეობა. აგარონიანმათბილისიტყვებითმომართა- რაკიქართველებსესგადაარჩენს, რადაგვრჩენია, რომარდავადასტუროთდამოგილოცოთ. ჩვენუბედურებაშიარგვინდასხვებიცჩავრთოთ.”

1918 წლის 26 მაისსთბილისშიშეიკრიბასეიმისუკანასკნელისხდომა. რაკიპირობებიწინასწარიყომომზადებული, სხდომადიდხანსარგაგრძელებულა. სეიმმათავიდანმოიხსნაყოველგვარირწმუნებულებადაამიერკავკასიისფედერაციადაშლილადგამოცხადდა. მივყვეთმოვლენებისგანვითარებას. დარბაზშისაქართევლოსეროვნულისაბჭოშეიკრიბა, რომლისშექმანზედათავმჯდომარეზეცზევითვისაუბრეთ. ამმართლაცჩვენიქვეყნისთვისუმნიშვნელოვანესსხდომასსაბჭოს 42 წევრიდა 36

წევრობისკანდიდატიესწრებოდა. მოწვეულნიიყვნენ: თბილისისმიტროპოლიტილეონიდე, ქართველიმხედრობა, საპატიოსტუმართშორისგამოირჩეოდნენგერმანიისჯარისუფროსიდაგრაფიშულენბურგი თანმხლებიოფიცრებით. სხდომასთავმჯდომარეობდანოეჟორდანია, სადაც წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები:

,,მოქალაქენო! დღესთქვენაქმოწამენიიყავითიშვიათიისტორიულიდაამავედროსტრაგიკულიაქტის. ამდარბაზშიდღესმოკვდაერთისახელმწიფოდააი, დღესვე, ამავედარბაზშიეყრებასაძირკველიმეორესახელმწიფოს. ამორსახელმწიფოთაშორის, რომელთაგანერთიმოკვდა, მეორეკიიბადება, არარისინტერესთაწინააღმდეგობა.თუპირველიაღსდგაოდესმემკვდრეთით, ჩვენდარწმუნებულიუნდავიყოთ, რომმათშორისმუდამიქნებაინტერესთათანხმობა. მან აღნიშნა, რომ ახალისახელმწიფო - საქართველო, რომელიცდღესარსდება, არწავარომელიმეერის, ხალხისანსახელმწიფოსინტერესებისწინააღმდეგ. მისიმიზანია - თავიგადაირჩინოსთანამედროვეისტორიულქარიშხალში....”

“საქართველოსდამოუკიდებლობის” აქტიეროვნულმასაბჭოსწევრებმაერთხმადმიიღეს 1918 წლის 26 მაისი. ,,ამიერიდანქართველიხალხისუვერენულიუფლებათამატარებელიადასაქართველოსრულფასოვანიდამოუკიდებელისახელმწიფოა.”

ამავედღესმიიღესქვეყნისიდეოლოგიურიდასოციალურომოწყობისშესახეპოსტულატები. მაგალითადის, რომსაერთაშორისოომიანობისდროსსაქართველომუდმივადნეიტრალურისახელმწიფოიქნებოდა. დამოუკიდებელისაქართველოსპოლიტიკურიფორმაკიდემოკრატიულირესპუბლიკაუნდაყოფილიყო. ესმოვლენამაშინახალიეპოქისდასაწყისადმიიჩნიეს,ახალიეპოქის, რომელსაცსაქართველსოთვისგანვითარებადამშვიდობაუნდამოეტანა,თუმაცმოვლენები

სგანვითარებამსამწუხაროდ საპირიპიროდაამტკიცა. აქედანმოგვყავს ”საქართველოსდამოუკიდებლობისაქტის” ტექსტი, რომელსაცნოეჟორდანიაკითხულობს:

”მრავალსაუკუნეთაგანმავლობაშისაქართველოარსებობდა, როგორცდამოუკიდებელიდათავისუფალისახელმწიფო.მეთვრამეტესაუკუნისდასასრულსყოველმხრითმტრისაგანშევიწროვებულისაქართველონებითშეუერთდარუსეთსიმპირობით, რომრუსეთივალდებულიიყოსაქართველოგარემტრისაგანდაეცვა. რუსეთისდიდირევოლუციისმსვლელობამრუსეთშიისეთიშინაგანიწყობილებაშექმნა, რომმთელისაომარიფრონტისრულიადდაიშალადარუსისჯარმაცდაუტოვაამიერკავკასია. ქართველიერისდღევანდელიმდგომარეობააუცილებლადმოითხოვს, რომსაქართველომსაკუთარისახელმწიფოებრივიორგანიზაციაშექმნას, მისისაშუალებითკი გარეშალისმიერდაპყრობისაგანთავიგადაირჩინოსდადამოუკიდებელგანვითარებას შეუწყოს ხელი.

აქედან გამომდინარე საქართველოსეროვნულისაბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერსარჩეულისაქართველოსეროვნულყრილობისმიერ, აცხადებს:

1. ამიერიდანსაქართველოსხალხისუვერენულუფლებათამატარებელიადასაქართველოსრულუფლებოვანიდამოუკიდებელისახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელსაქართველოსპოლიტიკურიფორმადემოკრატიულირესპუბლიკაა.

3. საერთაშორისოომიანობაშისაქართველომუდმივინეიტრალურისახელმწიფოა.

4. საქართველოსდემოკრატიულრესპუბლიკასჰსურსსაერთაშორისოურთიერთობისყ

ველაწევრთანკეთილმეზობლურიგანწყობილებადაამყაროს, განსაკუთრებითკიმოსაზღვრესახელმწიფოებთანდაერებთან.

5.

საქართველოსდემოკრატიულირესპუბლიკათავისსაზღვრებშითანასწორადუზრუნველჰყოფსყველამოქალაქისსამოქალაქოდაპოლიტიკურუფლებებსგანურჩევლადეროვნებისადასქესისა.

6.

საქართველოსდემოკრატიულირესპუბლიკაგანვითარებისთავისუფალასპარეზსგაუხსნისმისტერიტორიაზედმოსახლეყველაერს.

7. დამფუძნებელკრებისშეკრებამდემთელისსაქართველოსმართვა-გამგეობისსაქმესუძღვებაეროვნულისაბჭო, რომელიცშევსებულიიქნებაეროვნულუმცირესობათაწარმომადგენლებით, დადროებითიმთავრობაპასუხისმგებელიასაბჭოსწინაშე."

დოკუმენტიერთხმადუცვლელადდაამტკიცესდაამითხელიმოეწერასაქართველოს დამოუკიდებლობას. ასევე წარმოგიდგენთეროვნულისაბჭოსმიერდამტკიცებულსაქართველოსდროებითმთავრობას:

1. მთავრობისთავმჯდომარედაშინაგანსაქმეთამინისტრი - ნოერამიშვილი;

2. საგარეოსაქმეთამინისტრი - აკაკიჩხენკელი;

3. სამხედრომინისტრი - გრიგოლგიორგაძე;

4. ფინანსთადავაჭრობა-მრეწველობისმინისტრი - გიორგიჟურული;

5. განათლებისმინისტრი - გიორგილასხიშვილი;

6. მიწათმოქმედებისადაშრომისმინისტრი - ნოეხომერიკი;

7. იუსტიციისმინისტრი - შალვაალექსი-მესხიშვილი;

8. გზათამინისტრი - ივანელორთქიფანიძე.

ახალგაზრდარესპუბლიკაეკონომიკურიპრობლემებისწინაშეიდგა. მსოფლიოომმამნიშვნელოვნადდააზარალამეურნეობა, ხოლორუსეთთანდასხვაქვეყნებთანჩამოყალიბებულიეკონომიკურიკავშირებისგაწყვეტა მმდგომარეობაუფროდაამძიმა. მოშლილიიყომრეწველობადატრანსპორტი, განსაკუთრებითჭირდასურსათი. ხელისუფლებასკიდამოუკიდებლობისგამოცხადებისდროისათვისარგააჩნდაარავითარი თანხებიმყარვალუტაში. საქართველოსდამოუკიდებლობაუკვე 28 მაისსსცნოგერმანიამ, მაგრამპირველმსოფლიოომშიცენტრალურისახელმწიფოებისდამარცხებისშემდეგსაერთ აშორისოაღიარებისსაკითხიკვლავაქტუალური იყო. საქართველოსმთავრობამამთხოვნითმიმართაპარიზისსამშვიდობოკონფერენციას. 1920 წელსთურქეთის, გერმანიისადაარგენტინისკვალდაკვალსაქართველოდეფაცტოცნესდიდმაბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ. ხოლომასშემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისსსაქართველოსდამოუკიდებლობააღიარასაბჭოთარუსეთმა, მოხდარესპუბლიკისდე-იურეცნობაცანტანტისქვეყნებისადასხვასახელმწიფოებისმიერ.

საქართველოსადასაბჭოთარუსეთსშორისარსებობდა 1920 წლის 7 მაისისხელშკრულება, რომლითაცრუსეთმააღიარასაქართველოსსახელმწიფოდამოუკიდებლობა. სამაგიეროდსაქართველოსმთავრობამიკისრათავისტერიტორიაზეკომუნისტებისათვისლ ეგალურიმუშაობისშესაძლებლობისქონოდათ. მაგრამმალეგაირკვა, რომ 7 მაისისხელშეკრულებარუსეთსჭირდებოდამხოლოდქართველთაყურადღებისმოსადუნებ ლადდასაქართველოშითავისიაგენტურისათვისმაქსიმალურადხელშემწყობიპირობების შესაქმნელად. მოსკოვიემზადებოდასამხედროინტერვენციისადაამიერკავკასიისუკანასკნელიდამოუკი

დებელირესპუბლიკისგასაბჭოებისათვის. 1921 წლის 12 თებერვალსსომხეთთანმოსაზღვრერაიონშიკომუნისტებმამოაწყვესგლეხთააჯანყებისიმიტაცია, 16 თებერვალსკი “აჯანყებულთა” დახმარებისსაბაბითსაქართველოშირუსეთისჯარებიშემოიჭრნენ. მოწინააღმდეგისმთავარიდაჯგუფება, მეთერთმეტეარმიაუტევდა,თბილისსსომხეთისადააზერბაიჯანისტერიტორიებიდან. გარდაამისა, ცალკეულმაშენაერთებმადაქვედანაყოფებმაიერიშიმოიტანესაფხაზეთსადაცენტრალური კავკასიონისგადასასვლელებზე. თბილისისმისადგომებთანცხარებრძოლისშემდეგ 1921 წლის 25 თებერვალსსაქართველოსდედაქალაქიდაეცა. ამრიგად, საბჭოთარუსეთმაცალმხრივადდაარღვია 1920 წლის 7 მაისისხელშეკრულებადაგანახორციელასაქართველოსფაქტობრივიანექსია. ქვეყანაშიკომუნისტურიდიქტატურადამყარდა.

## 1.3. 1921 წლისოკუპაცია

წარმოდგენილი ნაშრომისმესამექვეთავშიუკვეაღვნიშნეთრუსეთისმიერხელმეორეოკუპაციისგანხორციელება 1921 წელს, რაცისევნაცნობიხელწერისმიხედვით ხორციელდებოდა. განვიხილოთისტორიულიფაქტები, რომლებიცსაბოლოოდთემიდანგამომდინარედედუქციურიდასკვნისგაკეთებისსაშუალე

ზასმოგვცემს.

სამოქალაქოომშიგამარჯვებისშემდეგსაბჭოთარუსეთმადაიწყოამიერკავკასიისდამოუკი დებელისახელმწიფოებისდასაპყრობად მზადება . 1920 წლისაპრილისბოლოსსაბჭოთაწითელიარმიას. ორჯონიკიძისმეთაურობითბაქოშიშევიდა.ს. ორჯონიკიძედამე-11 არმიისსარდლობაფიქრობდნენსაქართველოსდემოკრატიულირესპუბლიკისდაპყრობასა ც. საჭიროიყოსაბაზისაქართველოშიშეჭრისათვის. ასეთსაბაბადიქცა 1920 წლის 1-2 მაისისღამითქართველიბოლშევიკებისმიერმოწყობილიშეიარაღებულითავდასხმაც თბილისში,იუნკერთასასწავლებელზე. რუსეთისწითელიარმიააზერბაიჯანიდანთბილისისაკენდაიძრა, რომლისაღებასაც 15 მაისისთვისიგეგმებოდა. საქართველოშიგამოცხადდასაყოველთაომობილიზაცია. ფოილოსხიდთანბრძოლაშირუსებიდამარცხდნენდასწრაფადდაიხიესუკან. ყურადსაღებია, რომქართველებისმიერაყვანილიტყვეებიდანყველარუსიიყო, რაცაშკარადადასტურებდაკომუნისტების ცრუგანცხადებას, რომლისმიხედვითაცაზერბაიჯანისჯარებმაშეუტიესსაქართველოსდაარარუსებმა. ფოილოსთანმარცხისშემდეგ, რუსებსარაწყობდათფართომასშტაბიანომშიჩაბმადაგადაწყვიტესზავისდაედოთ, საქართველოსმთავრობასაცრუსეთთანსამშვიდობოდასამოკავშირეოხელშეკრულებისგაფ ორმებასაიმედოდეჩვენებოდა. 1920 წლის 7 მაისს მოსკოვშიმისიითგაიგზავნაგრ. ურატაძე, რომელმაცხელიმოეწერალ. კარახანთანერთადრუსეთსაქართველოსხელშეკრულებას. პირველივემუხლით, საბჭოთარუსეთმაყოველგვარიპირობისგარეშეცნოსაქართველოსდამოუკიდებლობადათა ვისუფლება. ხელშეკრულებისმეორემუხლით, რუსეთმააიღოვალდებულება _ არჩარეულიყოსაქართველოსსაშინაოსაქმეებში. თუმცაუნდააღინიშნოს, რომხელშეკრულებასახლდა ‘’განსაკუთრებულისაიდუმლოდამატება’’, რომლისძალითაცსაქართველოსკომუნისტურორგანიზაციებსეძლეოდათლეგალურიმუშ აობისუფლება. მიუხედავადამისა, 1920 წლის 7

მაისისხელშეკრულებაიყოსაერთაშორისოსამართლებრივიაქტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობაჰქონდა,რაცსაქართველოსსტატუსსმსოფლიოპოლიტიკურარენაზეგანამტკიცებდა.
ხელშეკრულებამგაზარდასაქართველოსდამოუკიდებლობისადმისაერთაშორისონდობამ აგრამ, როგორცაღმოჩნდა, რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, მხოლოდდროისმოგებისთვისდასაომარიმოქმედებებისმოსამზადებლადიყოგამიზნული. 1920 წლის 20 მაისსსაქართველოსბოლშევიკურიორგანიზაციებიგაფორმდასაქართველოსკომუნისტურ პარტიად, შეიქმნადროებითიცენტრალურიკომიტეტიფ. მახარაძისმეთაურობით. დაიწყოძალებისსერიოზულიმობილიზებასაქართველოსდემოკრატიულიმთავრობისდამხობისათვის. მდგომარეობასართულებდასომხეთისდაპყრობაწითელიარმიისმიერ.

საქართველოსოკუპაციაასეთისცენარითიყოდაგეგმილი: საქართველოშიუნდამომხდარიყოარსებულიმთავრობისწინააღმდეგმშრომელთაშეიარაღებულიგამოსვლა. რის შემდეგაც, აჯანყებულებსუნდაშეედგინათმთავრობა, რომელიცსაქართველოსმშრომელთასახელითმიმართავდასაბჭოთარუსეთს. “ლორესრაიონშიკომუნისტურმაპარტიებმამოაწყვესსაიდუმლოშეთქმულებარასაცდაარქვესხალხისგამოსვლასაქართველოსმთავრობისწინააღმდეგ. ” ამზობდაჟორდანია. ესძალებიდაყველავინცმათმხარეზეგადავიდოდაკანონგარეშედიქნებოდნენგამოცხადებულნი. მსგავსიშინაარსისდადგენილებამიიღოსაქართველოსმთავრობამ. სწორედ11 თებერვალსდაიწყოაჯანყებისინსცენირება.სინამდვილეშიესიყოსომხეთშიგანლაგებული წითელიარმიისნაწილებისთავდასხმასაქართველოზე.
საქართველოსსაზღვრებშიშემოჭრახდებოდადარიალისხეობით, მამისონისუღელტეხილით, შავიზღვისსანაპიროზესოჭისმიმართულებით. 16 თებერვალსშედგასაქართველოსდროებითი-მთავრობა .“რევოლუციურიკომიტეტი”, რომელიცდაკომპლექტებულიიყო: ფ. მახარაძე,შ. ელიავადასხვები. მისითავმჯდომარეფილიპემახარაძელენინმასაქართველოშიოკუპაციისმერემოავლიანა. საჭიროააღვნიშნოთ,

რომსაქართველოსიმდროინდელმთავრობასგულწრფელადსჯეროდათ, რომევროპისქვეყნებიარდაუშვებდნენმსგავსქმედებებს. არდატოვებდნენსაქართველოსრუსეთისპირისპირ, რაც ცინიკურია და რაზეცშეგვიძლიავთქვათ, რომ 21 საუკუნეშიისტორიაკვლავმეორდება, ამტიპისგამოცდილებებიკი, ვფიქრობ, რომქვეყნებსპოლიტიკურადუნდაზრდიდეს. აქვეაღვნიშნავ, რომსაქართველოსმთავრობისმიერმიიღეს კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს, წითელიარმიისთავდასხმამდერამდენიმედღითადრე,მიუხედავადიმისა, რომკონსტიტუციასპრაქტიკულადარუმოქმედია, მაინცუდიდესიმნიშვნელობისმატარებელიიყოიგიქართველიერისისტორიულიგანვითარებისგზაზე. 1918 წლის 26 მაისისსაქრთველოსდამოუკიდებლობისაქტიდა 1921 წლისკონსტიტუციაიყოისიურიდიულისაფუძველი, რომელსაცემყარებოდასაქართველოსსახელმწიფოებრივიდამოუკიდებლობითვისბრძოლაშემდგომათწლეულებში.

17 თებერვალსსამხედროძალებისსათავეშიჩაუდგაახალიმთავარსარდალიგენერალიგიორგი კვიტიტაძე. 18 თებერვალსმათ გაიმარჯვესიალღუჯისხეობაბში, ტყვედჩაიგდეს 1600 რუსიჯარისკაცი, ასევე საბრძოლოსაშუალებები. რუსებსდამატებითიძალებიგამოუგზავნეს. რისშემდეგაცჩაფიქრებულიიყოშეტევისმიტანათბილისზე,კოჯორ-ტაბახმელასმხრიდან. აქსამიდღემიდიოდაბრძოლარუსულბატალიონსადათბილისისსამხედროსკოლისიუნკერებსშორის, მათმტერიქოროღლისციხის, კუმისისდავაშლოვანსიქითგანდევნეს. სამწუხაროდახალგაზრდებისდიდინაწილისახლშივერღარდაბრუნდათავი შესწირესბრძოლას. 24 თებერვლისგადაწყვეტილებითქართულიმხარეუკანდახევასგადაწყვეტს. 25 თებერვალსკი მე11წითელიარმიისნაწილებითბილისშიუბრძოლველადშემოვიდნენ. ბაქოდანს.ორჯონიკიძელენინსაცნობებეს "თბილისისთავზეფრიალებსსაბჭოთახელისუფლებისწითელიდროშა.

გაუმარჯოსსაბჭოთასაქართველოს".

ამისშემდეგბათუმშიგაიმართადამფუძნებელიკრებისსხდომა, რომელმაცდაადგინასაქართველოსდემოკრატიულირესპუბლიკისმთავრობისემიგრაციაშ იწასვლადაიქიდანბრძოლისგაგრძელებარუსეთისმიერდაპყრობილისაქართველოსგანთა ვისუფლებისმიზნით. თვითონდამფუძნებელკრებას, როგორცქვეყნისუმაღლესსაკანონმდებლოორგანოს, თავისიუფლებამოსილებაარმოუხსნია. ამგვარად, სამართლებრივითვალსაზრისით, საქართველოგახდარუსეთისინტერვენციისმსხვერპლი, რუსეთმამოახდინასაქართველოსოკუპაცია. ამავეწლის 17 მარტსსაქართველოსდემოკრატიულირესპუბლიკისმთავრობამბათუმიდატოვადაემიგრა ციაშიგაემგზავრა. რუსეთ-საქართველოსომი 1921 წლისთებერვალ-მარტშიდასრულდასაქართველოსდემოკრატიულირესპუბლიკისდაეცადარუსეთისსაოკ უპაციორეჟიმიდამყარდა. დემოკრატიულსაქართველოში, კომუნისტურიტირანიისდამყარებამ[5]უდიდესიწინააღმდეგობისკერებიწარმოშვაშემდგომ ში.

დასკვნისსახითშესაძლოამოვიყვანოთისფაქტიც, რომ 1989 წელსსაქართველოსუმაღლესისაბჭოსშექმნილმაკომისიამშეისწავლა 1920 წლის 7 მაისისხელშეკრულებადა 1921 წლისთებერვლისპოლიტიკურიმოვლენები. დოკუმენტი, რომელიცმათმიიღესასაბუთებს, რომსაბჭოთარუსეთისფედერაციისმთავრობამცალმხრივადდაარღვია 1920 წლის 7 მაისისხელშეკრულებადასაქართველოოკუპაცია განახორციელა, რასაცფაქტობრივიანექსიამოჰყვა. საბჭოთახელისუფლებისდამყარებითსაქართველომდაკარგაეროვნულისუვერენიტეტი. განხორციელდამეორედდაპყრობარუსეთისმიერ.

---

[5]შ. ვადაჭკორია – ეროვნულისახელმწიფოებრიობისსაკითხიქართულპოლიტიკურაზროვნებაში (1921–1923წ.წ), თბ 1998;

საქართველოსახალიისტორიიაშიამთარიღითდაიწყოახალი,სოციალისტურისაქართველოსჩამოყალიბება.

# II თავი.

## რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ

### 2.1. პოსტ-საბჭოთა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრო-დასავლური ვექტორი

პოსტსაბჭოთა სივრცე უნიკალურია, რადგან ერთადერთი რეგიონია, სადაც ცივი ომი, ფაქტობრივად, არ დასრულებულა და კვლავ მიმდინარეობს ბრძოლა რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ეს ფაქტი თავის მხრივ, მოსკოვის ფაქტორით არის გამოწვეული, რადგან მის უმთავრეს სტრატეგიულ დოკუმენტებში პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენა მთვარ პრიორიტეტად არის განსაზღვრული.იგი საკუთარი ეროვნული ინტერესების რეალიზებისთვის ყველაფერს აკეთებს. დასავლელ ანალიტიკოსებში არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთი ვერ განთავისუფლდა იმპერიული კომპლექსებისგან და ვერ ეგუება „დეიმპერიალიზაციას“, ანუ გავლენის სფეროების დაკარგვას,რაც სიმართლეს შეესაბამისება. მათი აზრით, რუსეთის უმთავრესი ეროვნული ინტერესი არასწორად არის განსაზღვრული და ამის ნაცვლად, მოსკოვისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის შიდა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. ისინი ფიქრობენ, რომ არასწორად განსაზღვრული

ინტერესის გამო, რუსეთი რესურსებს არასწორად ანაწილებს, რაც მის დასუსტებას იწვევს, თუმცა მისი დასუსტება საკმაოდ რთული ფაქტორია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს წინაშე ურთულესი ამოცანები იდგა: საჭირო იყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მაშინ, როდ ესაც უაღრესად რთული გეოპოლიტიკური ვითარება იყო, რასაც თან ერთვოდა რუსეთის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები და ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომი, საქართველომ თავისი ისტორიული არჩევანი გააკეთა და სტაბილურად აიღო პროდასავლური კურსი. პრაქტიკაში საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში თანმიმდევრულ ინტეგრაციაში აისახა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამდენიმე წელიწადში საქართველომ აქტიური ურთიერთობები დაიწყო ნატოსა და ევროკავშირთან, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის ადგილი და როლი ეკონომიკის განვითარების მიმართულებეში. დასავლეთთან ეს ურთიერთობები პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს ეხება და ყველა ამ სფეროში ინტეგრაციის გაღრმავებას ემსახურება.

პოლიტიკური გადაწყვეტილების გარდა, საქართველოს ამ არჩევანს წმინდა პრაგმატული საფუძველიც გააჩნია. მხედველობაშია მისაღები ის ეკონომიკური სარგებლიანობაც, რაც დასავლეთთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობების საშუალებით შეიძლება მიიღოს ქვეყანამ. საქართველომ ევროკავშირთან ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, როცა ევროკავშირმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. რამდენიმე წლის შემდეგ კი, 1996 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (Partnership and Cooperation agrement – PCA), რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში და რომელმაც თანამშრომლობის ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები შექმნა. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში მხარეებს შორის

პოლიტიკური დიალოგისათვის სხვადასხვა წლებში შეიქმნა ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა თანამშრომლობის საბჭო, საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებზე, თანამშრომლობის კომიტეტი და ქვეკომიტეტები, რომელთა სხდომები ყოველწლიურად ტარდება. ქვეკომიტეტები შექმნილია, ფაქტობრივად, ყველა საკითხზე, მათ შორის: ვაჭრობის, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებზე; სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე; ენერგეტიკისსაკითხებზე; ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, დასაქმებისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფო ჯანდაცვის, ტრენინგების, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოებისა და აუდიოვიზუალური პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე[6].

საქართველო - ნატოს ურთიერთობათა საწყისი ეტაპი: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში 90-იან წლებში დაიწყო. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯები გადადგმულ იქნა 1992 წელს საქართველოს ჩართვით ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში. მომდევნო ეტაპზე, 1994 წელს საქართველო ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) პროგრამას შეუერთდა[7]. 2002 წელს პრაღაში გამართულ ნატო-ს სამიტზე კი საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ალიანსში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

ამ და სხვა ალიანსებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების სურვილი თუ დაგვირგვინებული ხელშეკრულებები საქართველოს თანდათანობით აპირისპირებდა საბჭოთა კავშირის ერთგვარ სამართალმემკვიდრესთან. უნდა აღინიშნოს, რომ შევარდნაძის ხელისუფლების არჩევანი დასავლური კურსის აღების კუთხით გარკვეულ საფრთხეებს შეიცავდა და ამასთან ერთად იგრძნობოდა რუსეთთან მეზობლური ურთიერთობების დამყარების მცდელობაც. გამოდის, რომ საქართველომ

---

[6] ა. პეტრიაშვილი; ქართულიპოლიტიკასამეცნიეროჟურნალი; საქართველოსსაგარეოპოლიტიკისარჩევანი: სვლადასავლეთისაკენ 2016

[7] "A Farewell to Flashman: American Policy in the Caucasus and Central Asia,", an Address by Deputy Secretary of State Strobe Talbott at the Johns Hopkins School of Advanced International Studies, 21 July, 1997

აირჩია ლავირების პოლიტიკა, რომელიც გადიოდა დასავლური ღირებულებებისა და ჩრდილო-მეზობლური ურთიერთობების დაბალანსებულ მორგებაზე. საქართველოს პროდასავლურმა კურსმა გააჩინა ახალი პერსპექტივები, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური კუთხით, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე განვიხილავთ პოლიტიკური გარემოს იმ ზოგად ანალიზსს, რომელიც აღნიშნული კურსის არჩევის შემდეგ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში შეექმნა. საკვირველი არ არის, რომ ორმაგი პოლიტიკის გატარების იდეა რუსეთის ხელისუფლებას აღიზიანებდა და ამის გამოსახატად მკაფიო და მკაცრ პოლიტიკურ მესიჯებსაც გზავნიდა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებას უახლესი ისტორიიდან გამომდინარე აუცილებლად სჭირდებოდა ახალი დასაყრდენი ძალის გაჩენა, რომელიც თავის მხრივ დააბალანსებდა რუსეთის მიზნებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებზე. სწორედ ამან გამოიწვია ამერიკისა და რუსეთის ერთგვარი ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს ფუნქციისა და პოლიტიკური კურსის შერჩევის კუთხით. ამ ყოველივეზე კი რუსეთს თავისებური აღქმა და შეფასებები ჰქონდა. 2004 წლის იანვარში, რუსეთის დუმის კომიტეტის თავმჯდომარემ დსთ-ის საკითხებზე ანდრეი კოკოშინმა, საქართველოს „ზედმეტი დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებზე ამ პრობლემების გადასაწყვეტად“ მოიხსენია, როგორც „საქართველოს წინა ხელისუფლების დიდი შეცდომა.[8] “ საქართველოს მიმართ რუსეთის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ,,დასავლური კურსი“, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო მკვეთრად იყო გაცხადებული. რუსეთის დიპლომატია ფორმალურად ცნობდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა იგი ამ ქვეყნებს კვლავ რუსეთის „ახლო საზღვარგარეთად“ აღიქვამდა. ამგვარ სიტუაციაში კი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თავისუფლება შეზღუდული იყო იმ ქვეყნებში,

---

[8]დაპირისპირების ზრდა 2004-2008 წლებში გვ.16 საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია ტომი II. http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf
(უკანასკნელად გადამოწმებულია 03/04/2019)

რომლებმაც დამოუკიდებლობა ხელახლა მოიპოვეს. რუსეთის პასუხი ,,დასავლურ კურსზე“ საქართველოს მიმართ ძალისმიერი პოლიტიკის სახით გამოვლინდა, რიგი ეკონომიკური და დიპლომატიური სადამსჯელო ზომების ამოქმედების გზით.

ერთია ის ფაქტი, რომ საქართველომ აირჩია დასავლური კურსი, მაგრამ მეორე საკითხს აგრეთვე წარმოადგენს მათი ინტერესებიც. საქართველომ როგორც ვახსენეთ მილიონობით დოლარისა და ევროს მატერიალური და ტექნიკური დახმარება მიიღო დასავლური სტრუქტურებისაგან, რაც უბრალო მეგობრობის სურვილიდან არასდროს გამომდინარეობს, თუ განვიხილავთ აშშ-ს მაგალითს შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგარეო დახმარების გაწევისას ამერიკა სამი პრიორიტეტით ხელმძღვანელობს:

დიდი სახელმწიფოები, რომლებთანაც პარტნიორული ურთიერთობები მნიშვნელოვანია.

ქვეყნები რომლებთანაც სამხედრო ან სხვა ტიპის ოპერაციებს აწარმოებს.

პატარა სახელმწიფოები, რომელთა მნიშვნდელობასაც მათი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს.

ალბათ არ არის ძნელი მისახვედრი თუ, რომელ საპარტნიორო პუნქტს მიესადაგება საქართველოს მდგომარეობა და სწორედ ამ გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გამო ურთიერთობათა განვითარების პროცესში ამერიკისა და რუსეთის ინტერესების გადამკვეთ წერტილად ყოფნა ნაცნობ ვითარებად რჩება ჩვენი ქვეყნისთვის.

## 2.2. საქართველო დასავლეთისა და რუსეთის ინტერესებში

პროდასავლური კურსის მკვეთრი დაფიქსირება და ანტირუსული განცხადებები საქართველომ მკვეთრად დაიწყო ე. შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლიდან, რასაც მორიგეობით საპასუხო ქმედებები  მოჰყვა ორივე მხრიდან, ეს ყოველივე კი საქართველოს ტერიტორიული, ეკონომიკური და სუვერენული ღირებულებების საფრთხის ქვეშ დაყენებით მიმდინარეობდა. ვიდრე მკვეთრად განხორციელებულ ნაბიჯებს განვიხილავდეთ, განვიხილოთ აშშ-საქართველოს ურთიერთობათა საწყისი ეტაპებიც. საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის ისტორია, რომელიც 1992 წელს, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დაიწყო, შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს; პირველ პერიოდში, რომელიც 1992-1995 წლებს მოიცავდა, შემდეგ 1993-1994 წლებში, ნავთობის საკითხზე ხელმოწერილმა რიგმა ხელშეკრულებებმა დასავლურ  კომპანიებსა, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებს შორის წამოჭრა საკითხი, თუ, როგორ უნდა განხორციელებულიყო ამ ნავთობის ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზრებზე. აღნიშნულს მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის ენერგეტიკული პოლიტიკის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ენერგეტიკული უსაფრთხოება ძირითადი მიზანი იყო, იმისა, რომ მეორე პერიოდში, რომელიც 1995–2001 წლებს მოიცავდა, აშშ საქართველოთი უფრო მეტად დაინტერესდა. აშშ-ის მიერ საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მხარდაჭერა, ნაწილობრივ, ნატო–ს თანამშრომლობის ჩარჩოს დახმარებით განხორციელდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-საქართველოსა და აშშ-ნატოს შორის ურთიერთობები მუდმივ იდენტობაში იქნება ერთმანეთთან.

რუსეთისა და დასავლეთის კონფლიქტების შეჯახებამ საქართველოსთან მიმართებაში სხვადასხვა შედეგიც გამოიღო,  მაგალითად:  2005 წელს, ვ. პუტინთან სანკტ-პეტერბურგში შეხვედრის შემდეგ მ. სააკაშვილმა გადაწყვიტა მკვეთრად შეეცვალა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და ევროინტეგრაციისაკენ აიღო გეზი. საქართველოს ახალი ლიდერების გამოსვლებში მაშინ გაისმა ხაზგასმული ანტირუსული რიტორიკა. საპასუხოდ, ვ. პუტინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის ხელისუფლების ყველა შტოს ძირითად მიმართულებებს და ამოცანებს ე.წ. სამხრეთ

ოსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ დოკუმენტების მოქმედება მიმართული იყო სამხრეთ ოსეთში რუსული ინტერესების შესანარჩუნებლად. 2005 წლის შემოდგომაზე NATO-ს საბჭომ დაამტკიცა ინდივიდუალური პარტნიორობის მოქმედების გეგმა საქართველოსთან (IPAP). კრემლმა საპასუხოდ შეწყვიტა საქართველოში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ექსპორტი. ქვეყანა აღმოჩნდა მკაცრი ზამთრის ტყვეობაში. დაპირისპირების ზონაში გახშირდა სროლები, იღუპებოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებლები. რუსეთმა შეაჩერა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის, გამოაცხადა ემბარგო ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რუსეთში შეტანაზე. რუსულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების გაცივების შემდეგ, 2006 წელს რუსეთმა დაიწყო საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია, მათ შორის, დედაქალაქიდანაც. 2006 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის სულ გამოაძევეს დაახლოებით საქართველოს სამი ათასიმოქალაქე. რუსი სამართალდამცველნი ამ ქმედებას უწოდებდნენ „კოლექტიური დასჯის პოლიტიკას“. აღნიშნულმა ფაქტებმა შორს რომ არ წაგვიყვანოს აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არ იყო მხოლოდ რაიმის საპასუხო ქმედებები ჩვენი ქვეყნის მიმართ. ეს იყო ამერიკისა და რუსეთის ბრძოლა თავიანთი ინტერესებისათვის რეგიონში, ჭიდილის ფრონტი კი ამ შემთხვევაში საქართველოზე გადიოდა მისი გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოს მისამართით დაწესებული ემბარგოები სრულებით არ აფერხებდა ურთიერთობებს ერთის მხრივ საქართველოსთან დაპირისპირებულ რუსეთსა და მეორეს მხრივ ჩვენს მეგობარ დასავლურ სტრუქტურებთან. ამავე პერიოდში ევროკავშირთან ვაჭრობა სტაბილურად შეადგენს რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის დაახლოვებით ნახევარს. თავის მხრივ ევროკავშირისათვის რუსეთი საქონლის ბრუნვის მოცულობის მიხედვით მესამე პარტნიორია. რუსეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 75%-მდე ევროკავშირიდან მოდის. ენერგომატარებლების თითქმის მესამედი ევროკავშირში

რუსეთიდან შედის.[9] ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთი და დასავლეთი საჭიროებისამებრ ძალზე ,,შეხმატკბილებულად" თანამშრომლობენ ორმხრივი სარგებლის მისაღებად, ამასთან ერთად მიმდინარეობს პოლიტიკური დაპირისპირებებიც რეგიონში საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ასპარეზს კი როგორც თავიდანვე აღვნიშნე საქართველო წარმოადგენს. მიუხედავად მრავალი ჰუმანიტარული თუ სხვა სახის დახმარებისა, ვერ ვიტყოდი, რომ ბრძოლა ქართველი, ან საქართველოში მაცხოვრებელი ხალხისათვის მიმდინარეობდა, ან მიმდინარეობს არსებული სამკუთხედის ფარგლებში, ამის დადასტურება კი მრავალი ფაქტის მიხედვით არც თუ ისე რთულია. ფაქტია, რომ საქართველოს, რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომლის დათმობაც ორი ჰეგემონი ქვეყნისთვის პოზიციების დათმობასა და უკან დახევას ნიშნავს.

რუსეთი საკუთარ ინტერესებს ღიადაც აფიქსირებდა, თბილისში ხელისუფლების შეცვლიდან სულ ცოტა ხანში, 2003 წლის დეკემბერში, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე ეწვია მოსკოვს, სადაც ნათლად განმარტა, რომ მისი ვიზიტის ძირითადი მიზანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება იყო. რუსეთის აზრით, საქართველოსთან ურთიერთობის „ნორმალიზების“ მთავარ წინაპირობებს წარმოადგენდა შემდეგი: [10]

- უარის თქმა ცალსახა ორიენტაციაზე აშშ-სა და ნატო-სთან მიმართ;

---

[9] GEORGIA'S EU INTEGRATION AGENDA AND NORMALIZATION PROCESS WITH RUSSIA; caucasian house 2014
http://caucasianhouse.ge/en/publications/policy-documents/georgias-eu-integration-agenda-and-normalization-process-with-russia/
(უკანასკნელად გადამოწმებულია 17.04.2019)

[10] ვლადიმერპუტინირუსულ-ქართულიურთიერთობებისშესახებ, კომერსანტი, 2003 წლის 26 დეკემბერი, გვ.9 ( პოსტსაბჭოურიპრესისთანამედროვედაიჯესტი, #51, ტომი 55, 2004 წლისიანვარი, გვ.20)

• რუსეთის განსაკუთრებული ინტერესის აღიარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც წარმოადგენენ სამშობლოს იმ ათეულ ათასობით ადამიანისთვის, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე მიიღეს რუსული პასპორტები;

• რუსეთის უსაფრთხოების ძალებისთვის ნების დართვა, საქართველოს ტერიტორიიდან, უმთავრესად პანკისის ხეობიდან, შეებრძოლონ ჩეჩენ მეამბოხეებს.

საქართველოს ახალი ხელისუფლების ამ პირობებზე დათანხმების მთავარი არგუმენტი ეკონომიკური ხასიათის იყო. საქართველოს ვალი რუსეთის მიმართ 300 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, რაც ძირითადად, ელექტროენერგიის დავალიანებას შეადგენდა. იმ დროისათვის, ზეწოლის სხვა ბერკეტებს წარმოადგენდა რუსეთში ქართველი მიგრანტი მუშაკების დიდი რაოდენობა, აგრეთვე, ვაჭრობასა და ენერგო რესურსების მიწოდებაში საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება. ამ ტიპის მოთხოვნები და ბერკეტები თავის მხრივ ძაბავდა ვითარებას, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებას უხდებოდა ამერიკისა და ევროპისათვის ხშირი მიმართვა, რათა მეტი საერთაშორისო ყურადღება მიებყრო და გარკვეული მზადება ჰქონოდა ვითარებათა ესკალაციის შემთხვევებში, ეს კი უფრო მეტად ავიწროვებდა რუსეთისა და ამერიკის ინტერესთა გადაკვეთის წერტილებს საქართველოში.

## 2.3 საქართველოში არსებული კონფლიქტები და რუსეთის ფაქტორი

მოგეხსენებათ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, სწორედ ამ მიეზიდან და გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ხშირად უწევს კონფლიქტებში თავის გატანა, თუ გადავხედავთ საქართვლოს ისტორიას მას საუკუნეების მანძილზე უწევდა და დღესაც უწევს ბრძოლების გადატანა: ირანთან,თურქეთთან აზერბაიჯანთან, რუსეთთან თუ სხვ. თუმცა ბოლო წლებში ყველაზე მაშტაბური კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასთან გადახდა.

რუსეთი საქართველოს განიხილავს კავკასიაში გეოგრაფიულად ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე მდებარე, ამავდროულად ყველაზე სუსტ ქვეყნად. საქართველოში სიტუაციის არევით, მოსკოვს შესაძლებლობა ექნება გაწყვიტოს დასავლეთს, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის არსებული გეოსტრატეგიული ჯაჭვი.

სწორედ ამ მიზეზის გამო რუსეთის ფედერაცია სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ჯერ კიდევ ე.შევარდნაძის ხელიწსუფლების მიერ აფხაეთში განცდილი მარცხისა და ზ.გამსახურდიას დასავლეთ საქართველოში დაბრუნების შემდგომ, ცხადი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის გეგმებში ქართული საზოგადოების შუაზე გახლეჩა შედიოდა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, დასავლეთთან ცივილიზაციური ნათესაობის და რიგი სხვა მიზეზებიდან გამომდინარეც ამ ღერძის მთავარ რგოლს წარმოადგენს. რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭბს პოსტსაბჭოთა სივრცეში ენერგომატარებლებზე მონოპოლიის დამყარებას, ეს რუსეთის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს, რადგან ნავთობი და გაზი რუსეთის შემოსავლის ძირითადი წყაროა. რუსეთი ისწრაფვის, რომ დაამყაროს კონტროლი დსთ- ის ქვეყნების ეკონომიკაზე. ამის ნათელი მაგალითია სომხეთი, რუსულმა კომპანიებმა ფაქტობრივად უფასოდ, ვალების სანაცვლოდ, შეისყიდეს და ტოტალური კონტროლი დაამყარეს თითქმის ყველა სომხურ საწარმოზე. ამ საწარმოთა კომერციული წამგებიანობა სერიოზულ ეჭვს იწვევს მოსკოვის ასეთი ნაბიჯების მხოლოდ ეკონომიკურ მოტივაციაზე. ამის მცდელობა მოსკოვს უკვე ჰქონდა 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთმა ოსი ეროვნების, რუსეთის მოქალაქეების დაცვის საბაბით განახორციელა ფართომაშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია საქართველოში.

რუსეთის ინტერესებში ასევე საქართველოს ქრონიკული არასტაბილურბა და დანაწევრება შედიოდა, თუმცა იმ ეტაპზე დასავლეთის პოზიციამ რუსეთის ამ გეგმის ბოლომდე განხორციელებას საშუალება არ მისცა.

1999 წელს, მას შემდეგ, რაც 1998 წლის მაისში გალის რაიონში განხორციელდა ქართული მოსახლეობის მორიგი ეთნიკური წმენდა, საქართველომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამოსულიყო დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან და მოითხოვა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვა. საქართველოს ტერიტორიებდან რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს 1999 წლის ნოემბერში ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე. 2001 წლის 1 ივლისამდე რუსეთმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება მან მთლიანად გაიყვანა ვაზიანის სამხედრო ბაზა, გუდაუთაში, აფხაზეთში და გადასცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

რუსეთის ფედერაციამ დისლოცირებულ სამხედრო ბაზასთან დაკავშრებით მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რაც შეეხება ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებს მხოლოდ გადაიდო და 2005 წლის 30 მაისს ქ. მოსკოვში მხარეებმა შეძლეს შეთანხმების მიღწევა აღნიშნულ საკითხზე, ხელი მოეწერა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადებით. 30 მაისის განცხადების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს 2006 წლის 31 მარტის სოჭის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, 1999 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან გამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაც.

ეუთო-ს სტამბოლის სამიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმადგენდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღბული ძალების ადაპტირებული ხელშეკრულების ხელმოწერა და მის ფარგლებში საქართველოსა და რუსეთის ერთობლივი განცხადება. საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების მომავლის თაობაზე, ვინაიდან გუდაუთას სამხედრო ბაზა მდებარეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, დამკვირვებლებს არ მისცეს უფლება ედევნებინათ თვალი მისი გაყვანის პროცესისთვის, ქართული მხარის ინფორმაციით, 2001 წელს გუდაუთას ბაზიდან გაიყვანეს მხოლოდ 300 სამხედრო მოსამსახურე, მაშინ, როდესაც სამხედროების საერთო რიცხვი 1100

აღწევდა. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ სამხედროებს, ისინი გადაიყვანეს დსთ-ის სამშვიდობო ძალების ბატალიონის შემადგენლობაში. ასევე გუდაუთას სამხედრო ბატალიონის კონტროლქვეშ გადავიდა  სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურაც.

ეუთოს ექსპერტებმა 2002 წელს განახორციელეს გუდაუთის ბაზის ინსპექტირება, შემდეგ კი დაადასტურდა მისი ლიკვიდაციის ფაქტი, მიუხედავათ ამისა, ქართული მხარის პოზიცია იყო, რომ გუდაუთის ბაზა უნდა ყოფილიყო მუდმივი საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ამ ბაზაზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების ნაწილები განლაგდნენ.

ამ პერიოდის მანძილზე აშკარად გამოიკვეთა ოფიციალური მოსკოვის სურვილი, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველდან გაყვანის საკითხის გაჭიანურება. მოსკოვი დაჟინებით ითხოვდა ჯერ 14, შემდგომ 11 და ბოლოს 7 წელიწადს , ხოლო საქართველოს ხელისუფლების მტკიცე პოზიცია გახლდათ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიებიდან გაყვანის პროცესებისათვის სავსებით საკმარისი იყო 3 წელი.

ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა ეტაპობრივად მოხდა, შეთანხმების დადების მომენტიდან 2 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოფიციალურად არ აღიარებდა აფხაზეთისა და ე. წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მოსკოვი ამ სეპარატისტულ რეგიონებს სისტემატიურად უწევდა პირდაპირ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე სამხედრო დახმარებას. ამ ყველაფერთან ერთად რუსეთმა სავიზო პროცედურებისგან განათავისუფლა აფხაზეთის და ე.წ სამხრეთ ოსეთის მკვიდრი მოსახლეობა, როცა დანარჩენ საქართველოსთან 2000 წლის დეკემბრის თვიდან დღემდე მოქმედებს სავიზო რეჟიმი.

2002 წლის ივნისიდან მოსკოვმა დაიწყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ადგგილობრივი მოსახლეობის მასიური პასპორტიზაციის პროცესი, რაც ითვალისწინებდა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას აფხაზი და ოსი ეროვნების

პირებისთვის. ამასთან მოსკოვი ღიად ერეოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე გამართულ ვითომ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში.

2008 წლის 27 აგვისტოს კი რუსეთმა ცალმხრივად სცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამუკიდებლობა, რაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანბის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევაა. რუსეთის დიპლომატიურმა და სამხედრო ზეწოლამ საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო საქართველოზე 2001 წლის შემოდგომაზე და 2002 წლის ზაფხულში, როდესაც პანკისის ხეობაში ჩეჩნეთიდან გადმოსულმა ლტოლვილებმა დაისადგურეს, სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ს. ივანოვმა პანკისის ხეობას „ტერორიზმის კერა'' უწოდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნული განცხადება გააკეთა 2001 წლის 11 სექტემბერს ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდგომ, ანუ მაშინ, როცა ტერორისტებთან ბრძოლამ საყოველთაო საერთაშორისო ხაიათი მიიღო. რუსეთის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში: მოეპოვებინა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭრა ჩეჩნეთის და საჭიროების შემთხვევაში, საქართველს ტერიტორიზესამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად. რაც შეეხება კრემლთან დაახლოებულ რუს ანალიტიკოსებს, მათ საქართველო ერთხმად შეაფასეს, როგორც ივანოვი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს არ შესწევდათ უნარი აღედგინათ მართლწესრიგი პანკისის ხეობაში, ამიტომ რუსეთის სამხედრო ჩარევა აუცილებელი იყო.

2002 წლის აგვისტო-სექტემბერში პანკისის ხეობაში წარმატებით განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციების შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ სრული კონტროლი დაამყარა რეგიონში. მიუხედავად ამისა ვ.პუტინმა გაეროს, მისიის უშიშრების საბჭოსა და ეუტოს სახელზე გაკეთებულ მიმართვაში, ღიად განაცხადა, რომ აშშ-ის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთი იტოვებდა უფლებას გადაედგა ანალოგიური ნაბიჯები საქართველოსთან მიმართებაში.

2003 წლის სექტემბერში რუსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პანკისის ხეობაში პრევენტიული დარტყმების განხორციელებას, იქ დაბანაკებული ტერორისტების განადგურების მიზნით. ფაქტობრივად, ეს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციას ნიშნავდა. ყოველივე ამის პასუხად, ოფიციალურმა ვაშინგტონმა ცალსახად განაცხადა, რომ საქართველო წარმოადგენდა ანტიტერორისტულ კოალიციის მნიშვნელოვან წევრს და შეშფოთება გამოხატა ჩეჩნეთის კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო გავრცელების გამო. აშშ-ის შეშფოთება ასევე გაიზიარა ეუთომ და ევროკავშირმაც, რის შედეგადაც მაშინ თავიდან აიცილეს რუსეთის სამხედრო ინტერვენციის საფრთხე საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნული მოსკოვის უკიდურესად არაკონსტრუქციულ და აგრესიულ პოლიტიკაზე მიუთითებს. რუსეთის მხრიდან კოჯორისა და პანკისის ხეობების დაბომბვა ამის მაგალითი იყო. რუსეთმა დაამყარა განსაკუთრებულად მჭიდრო სამხედრო კავშირები სომხეთთან, რომელიც დღესდღეობით წარმოადგენს რუსეთის გავლენის პლაცდარმს სამხრეთ კავკასიაში. 2000 წელს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის არჩევის შემდგომ მოსკოვმა დაიწყო შედარებით პრაგმატული პოლიტიკის გატარება აზერბაიჯანის მიმართ, დაიკავა მეტ-ნაკლებად კონსტრუქციული პოზიცია ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებაში. გარდა ამისა, რუსეთი ნაკლებად მგრძნობიარე გახდა რეგიონში თურქეთისა და აშშ-ს მზარდი გავლენის მიმართაც. რაც შეეხება საქართველოს, მოსკოვმა გააგრძელა მკაცრი პოლიტიკა და დღემდე ყველაფერს აკეთებს იმისთვის რათა კონფლიქების დარეგულირების პროცესი ჩიხში შევიდეს. მოსკოვი ასევე დაინტერესებულია სტატუს კვოს შენარჩუნებით მთლიანი ყურადღების საკითხში კრემლში შიშობენ, რომ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამ შესაძლოა შეამციროს სომხეთის დამოკიდებულება რუსეთზე უსაფრთხების კონტექსტში. რუსეთს გააჩნია საკმაოდ დიდი გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. რუსეთი თავის დროზე მნიშვნელოვნად დამეხმარა სომხეთს მთლიანი ყარაბაღის გამო აერბაიჯანთან გატარებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

საქართველო გარკვეულწილად დღესაც არის დამოკიდებული რუსეთზე მხედველობაში გავქვს, არა მხოლოდ  საქართველოს ოკუპირებული რეგიონები( რუსეთმა უზრუნველყო აფხაეთსა და სამხრეთ ოსეთში თავიი სამხედრო ყოფნა, უკანონოდ გააფორმა ორმხირივი ხელშეკრულება 2008 წლის 17 სექტემბერს) ან საქართველოს დამოკიდებულება ენერგორესურსებზე არამედ მილიონამდე ქართველი, რომელიც დღემდე რუსეთში ცხოვრობს. საჭიროების შემთხევაში, რუსეთის ფედერაცია ზეწოლის ამ ბერკეტების მანიპულირებას ეწევა, რითიც საქართველოს ხელისუფლებისგან დათმობაზე წასვლას ითხოვს.

2005-2006 წლებში რუსეთის მხრიდან საქართვლო მიმართ განხრციელებუი დესტრუქციულ პოლიტიკა აშკარად გაცდა დიპლომატიური ზეწოლის ფარგლებს  და „ ეკონომიკური ომის“[11] ფორმები მიიღო, მათ შორის ენერგეტიკული ბლოკადის მცდელობების გათვლით (ხელოვნური შეფერხებები  საქართველოს გაზითა და ელექტროენერგიით მომარაგების კუთხით) რასაც დაემატა სხვა ეკონომიკური სანქციებიც. ყოველივე ამან, სერიოულად შეარყია რუსეთის იმიჯი საერთაშორისო არენაზე, კიდევ უფრო დაიძაბა ისედაც რთული ქართულ-რუსული ურთიერთბები, ასევე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს  დსთ-ში შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობა.

2006 წლის ოქტომბერში საქართველოს სპეცსამსახურების მიერ რუსეთის ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავებისა და რუსეთის ოთხი სამხედრო ოფიცრის დაკავების შემდეგ, ოფიციალურმა მოსკოვმა განახორციელა მასიური ქსენოფობიური ზომები და რეპრესიები რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ,  ასევე გამკაცრდა საქართველოს ძირითდი საექსპორტო საქონელი[12], როგორებიცაა მინერალური წყლები

---

[11]რუსეთ-საქართველოს ენერგო ომი. 2011წ.
http://www.tabula.ge/ge/tablog/65432-ruset-saqartvelos-energo-omi
(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.04.2019)

[12]საქართველოშიმომხდარკონფლიქტთანდაკავშირებულიფაქტებისდამდგენიდამოუკიდებელისაერთა შორისომისია  გვ 35.
http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf

და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია ვეღარ შედის რუსეთის ბაზარე სანიტარული აკრძალვების გამო.

# თავი III

# 2008 წლისომიდამისიშედეგები

## 3.1. 2008 წლისომის გამომწვევიმიზეზებიდადასავლეთისპოზიცია

2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევ სამ სხვადასხვა მიზეზზე ვისაუბრებთ, რამაცჩემი აზრით გამოიწვია ეს დაპირისპირება. პირველი ეს იყო იმ ლოკალური კონფლიქტისგაგრძელება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად

უკანასკნელად გადამოწმწზულია 11.05.2019

წარმოიშვააფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში. ეს იყო გარდამავლიპერიოდის, არათანმიმდევრული და არაორგანიზებული ხელმძღვანელობისპერიოდში დაწყებული ლოკალური კონფლიქტი, რომელიც შემდგომეროვნულ-ტერიტორიულ კონფლქიტად გადაიქცა რუსეთსა და საქართველოსშორის. ეს ფაქტორი განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის შემდეგ გამწვავდა, მასშემდეგ რაც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა. ის ცდილობდა, საქართველო მკვეთრად დასავლური ორიენტაციის გზაზე გადეყვანა, რომქვეყანა რუსეთის გავლენისგან გამოსულიყო, რამაც უარყოფითად იმოქმედა. შესაბამისად, ამ კონფქლიტიდანწარმოიქმნა რეგიონალური კონფლიქტი, სადაც ერთ მხარეს რუსეთია, ხოლომეორე მხარეს საქართველო და დასავლეთი.

აგვისტოს ომისდასრულების შემდეგ მედვედევმა თავის გამოსვლაში რუსეთის გავლენისსფეროებზე და ასევე დასავლეთის ინტერესებზე და მის გავლენაზეც ისაუბრარეგიონში. აგვსიტოს ომში სწორედ ამ სამი ფაქტორის ერთობლიობაა: ადგილობრივი, ნაციონალური და და გეოპოლიტიკური კონფლიქტი. ამიტომაცეს ომი არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყარადსაღები მოვლენა.

პირველ რიგში აუცილებელია, განვიხილოთ ის კონკრეტული ინტერესები,რომლებიც აქვს დასავლეთს საქართველოსთან. ამისთვის საქართველოს, როგორცცალკე სახელმწიფოს ვერ განვიხილავთ, არამედ აუცილებელია მისი კავკასიისრეგიონის კონტექსტში განხილვა და ანალიზი.ახლა კი განვიხილოთ გეოპოლიტიკის თეორიის მიხედვით, [13]კავკასია წარმოადგენს ე.წ. ჰართლენდის ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ რეგიონს აზიისკენ უმოკლესისავაჭრო გზის გასახსნელად. აზიაში კი, პირველ რიგში, მოიაზრებაცენტრალური აზია და შორეული ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი. ამასთან ერთად, როგორც ვიცით, ევროკავშირის მიერ იმპორტირებული ნავთობის უდიდესიწილი სპარსეთის ყურის არასტაბილურ რეგიონზე მოდის, ხოლოიმპორტირებული გაზის 2/3 კი რუსეთზე, რაც ევროკავშირის

---

[13]მედულაშვილი,ე. „NATO დაევროკავშირი – საქართველოსსაგარეოპოლიტიკის პრიორიტეტეტები",თბილისი,2015. გვ: 15-18.

დამოკიდებულსხდის, როგორც რუსეთზე, ისე სპარსეთის ყურის ნავთობმწარმოებელსახელმწიფოებზე. 2005 წელს გაზის ფასით მანიპულირების შემდეგ ევროკავშირმა დაიწყოალტერნატიული წყაროების ძიება და ეს წყარო აზერბაიჯანი აღმოჩნდა. საქართველო უკვე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყოდასავლეთისთვის, რადგან სწორედ საქართველოზე გაივლიდააზერბაიჯანიდან ტრანსპორტირებული ნავთობი და გაზი. ამ მიზნის მისაღწევადდაიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხილვა, თუმცა, ზოგიერთიმათგანი ვერ განხორციელდა.

საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი და მათშორის ურთიერთობა წლიდან წლამდე იზრდებოდა, რაც ნიშნავდასაქართველოს მხარდაჭერას საერთაშორისო ასპარეზზე, შესაბამისად, ესრუსეთის ინტერესებში არ შედიოდა და ჩვენი ყოველი წარმატება რუსეთისპოლიტიკას ამკაცრებდა.

ახლა კი განვიხილოდ რონალდდ.ასმუსისწიგნშის „მცირეომირომელმაცმსოფლიოშესძრა“ მიხედვით ომისხელშემწყობი მიზეზები, სადაც ასმუსი ომის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს MAP-ისმიცემაარმიცემისსაკითხს. ყურადსაღებია, რომნატოსსამიტიტარდებოდაომამდეოთხითვითადრექალაქბუქარესტში, სადაცუნდაგადაწყვეტილიყოსაქართველოსადაუკრაინისთვისწევრობისსამოქმედოგეგმის, ე.წ. MAP-ის (Membership Action Plan) დასახვა. ბუქარესტისსამიტმა, რომელზეცრუსეთისპრეზიდენტი – ვლადიმერპუტინიციყომიწვეული, საქართველოსთვისშედეგიარგამოიღოეს მიზეზირუსეთისფაქტორითიყოგამოწვეული. ზემოთქმულიდასტურდებაგერმანიისსაგარეოსაქმეთამინისტრის, ფრანკვალტერშტაინმაიერისსამიტისშემდგომგანცხადებაშიც: „ნატო – სარგააჩნიამიზეზისაიმისოდ, რომ, ოფიციალურიმოსკოვისწინააღმდეგობისმიუხედავად, უკრაინისადასაქართველოსორგანიზაციაშიმოწვევითმოახდინოსრუსეთისპროვოცირება. “ გერმანულპოზიციასამყარებდაისფაქტიც, რომნატო–

რუსეთისურთიერთობებიისედაცსაკმარისადგაფუჭდაბუქარესტისსამიტამდენატოს 19 სახელმწიფოსმიერკოსოვოსდამოუკიდებლობისაღიარებისგამო, რისგამოცრუსეთისმოკავშირემბალკანეთში, სერბეთმა, ტერიტორიისდიდინაწილიდაკარგა. მისიაზრითაშშ-სდაევროპისშეცდომაისიყორომ , სათანადოდვერშეაფასესდამზადარაღმოჩნდნენგაეთვალისწინებინათისფაქტითუროგორ გამოიყენებდამოსკოვიამვითარებასსათავისოდ. ასევეომისერთ-ერთმიზეზადრონალდდ. ასმუსიასახელებს 2008 წლისგაზაფხულზეკოსოვოსდამოუკიდებლობისაღიარებასდასავლურიდიპლომატიისმიერ. არსებობსმოსაზრებებიც, რომმიზეზიგეოპოლიტიკურია-საქართველოსდასავლეთისკენეჭირათვალი, რუსეთიკიამასვერშეეგუა. ესკონფლიქტირუსეთმათავისისტრატეგიისნაწილადგამოიყენა, რათასაქართველოსთვისწონასწორობადაეკარგვინებინა, საკუთარიგავლენისქვეშმოექციადათბილისისპროდასავლურიმისწრაფებებიცსაბოლოოდჩაეკლა. ჩემთვის, როგორცმკვლევარისთვისყველაზემოთჩამოთვლილმიზეზსლოგიკურადარსებობისუფლებანამდვილადაქვს, თუმცადავამატებდიიმასაც, რომესარიყორუსეთ-საქართველოსომი[14], ესგახლდათრუსეთისძალისკიდევერთხელდემონსტრირებისაუცილებლობა, რათაშეეხსენებინადასავლეთისათვისმისიშესაძლებლობებიდასაკუთარიპოზიციები,თუნდაცამხერხითკიდევერთხელგაეხადააქტუალური. ექსპერტთამოსაზრებებიდახედვებიომისმიზეზებთანდაკავშირებითმცირედითგანსხვავდება.

მიმაჩნია, რომ რუსეთის რეალური მიზანი მკაფიოდ არის გამოკვეთილი, როგორც საერთაშორისო ექსპერტებისათვის, ასევე ნებისმიერი პირისათვის, რომელიც აღნიშნული თემით ოდნავ მაინც არის დაინტერესებული.

---

[14]აგვისტოსომსამერიკელიექსპერტიაფასებს,ინტერვიუკოლუმბიისუნივერსიტეტის, ჰარიმანისინსტიტუტისხელმძღვანელალექსანდრქულისთან 2015წ. - http://www.amerikiskhma.com/a/august-8-war-alex-cooley/2909108.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.05.2019)

დასავლეთისმხარდამჭერთაეფექტურიდასაჯაროგამოსვლებისციკლიომისპერიოდშიმნიშვნელოვნადვითარდებოდა. 8 აგვისტოსპირველიგანცხადებაქვეყნდებავაშინგტონიდან, რომელსაცაშშ-სსახელმწიფოდეპარტამენტისოფიციალურიწარმომადგენელიგონსალოგალეგოსიაქვეყნებს. ამისშემდეგსაქართველოსმხარდამჭერგანცხადებებსაკეთებსმსოფლიოსთითქმისყველაქვეყნისპრეზიდენტითუსაერთაშოროსოორგანიზაციადარუსეთსცეცხლისშეწყვეტისკენმოუწოდებს. მხარდამჭერთაარასრულისიადაძირითადიგამოსვლებიასეთნაირადგამოიყურება:

9 აგვისტო. ჯორჯბუშიმოითხოვსრუსეთისგან, შეწყვიტოსსაბრძოლომოქმედებები. იგივეშინაარსისგანცხადებითგამოდიანპრეზიდენტობისკანდიდატები - სენატორებიჯონმაკკეინიდაბარაქობამა. მსოფლიოსთითქმისყველასახელმწიფოსპირველიპირიაცხადებს, რომმხარსუჭერენსაქართველოსსუვერენიტეტსადატერიტორიულმთლიანობას.

10 აგვისტო. ქართულიმხარეცეცხლისშეწყვეტისშესახებაკეთებსგანცხადებასდაიწყებსჯარისგამოყვანას ე.წ.სამხრეთოსეთიდან. რუსულიჯარებიაგრძელებენშეტაკებებსაღნიშნულტერიტორიაზედაუფრომეტიც, სცდებიანმისსაზღვრებსდაგორისკენმიიწევენ. რუსებიპოზიციებსიმაგრებენსაქართველო-აფხაზეთისსაზღვართანაცდაასევესაზღვაოკორდონსაყენებენფოთისპორტში.

ხოლო, რაც შეეხება 11 აგვისტოს - განსაკუთრებითამაღელვებელიგანცხადებააგვისტოსგააკეთასენატორმაჯონმაკკეინმა - ,,დღესყველანიქართველებივართ!”

12-13-14 აგვისტო. ,,დიდიშვიდეულის" ქვეყნებისსაგარეოსაქმეთამინისტრებმარუსეთისგანმოითხოვესდაუყოვნებლივდათანხმ

დესცეცხლისშეწყვეტას.თბილისშიევროპისსახელმწიფოთალიდერებიჩამოდიან: პოლონეთის, ესტონეთის, უკრაინის,ლიტვისპრეზიდენტები დ ა ლატვიისპრემიერ-მინისტრი.

15 აგვისტო. კონდოლიზააკეთებსგანცხადებასიმისშესახებ, ,,რომრუსეთისმიერწარმოებულიომისაქართველოსხელისუფლებისდამხობასისახავსმიზნად". მანვედაუფარავადაღიარა, რომარაევროპისთვალისდახუჭვა, რუსეთისაგრესიასდასისხვლისღვრასთავიდანავიცილებდითო.

16 აგვისტო. მსოფლიოსსხვადასხვაქალაქშირუსულიაგრესიისსაწინააღმდეგოდფართომასშტაბიანიაქციებიეწყობა. აგრეთვერუსულიდაქართულიმხარეხელსაწერსსამშვიდობოშეთანხმებას, რომელიცშეიმუშავასაფრანგეთისპრეზიდენტმანიკოლასარკოზიმევროკავშირისპრეზედენტისრანგში. შეთანხმებაავალდებულებსრუსულდაქართულმხარეებსგაიყვანონთავიანთისაჯარისოშენაერთებიომამდეარსებულპოზიციებზე. რუსეთსჯარიმთლიანადარგაჰყავსარცე.წსამხრეთოსეთიდანდაარცსაქართველოსსხვატერიტორიებიდან. სექტემბრისდასაწყისშიმისიჯარიკვლავრჩებაფოთისპორტში.

17 აგვისტო. თბილისსაშ-სპრეზიდენტობისკანდიდატისბარაქობამასპირადიწარმომადგენელი, სენატორიბაიდენიეწვია. ანგელამერკელიცთბილისშია. სენატორიმაკკეინისთავაზობსმსოფლიოლიდერებს, გარიცხონრუსეთი ,,დიდირვიანის" შემადგენლობიდან, ასევე 17 აგვისტოსგამოსვლაშიისსაუბრობსსაქართველოზე, როგორცუძველესქრისტიანულქვეყანაზედაკვლავმოითხოვსოკუპაციისდაუყონებლივშეწყვეტას.

19 აგვისტო. სენატორიჯოზეფბაიდენიკონგრესსსაქართველოსთვისერთიმილირდი დოლარისგამოყოფასსთხოვს.

აღნიშნულიქრონოლოგიაეხება, მხოლოდიმმხარდაჭერისნაწილს, რომელიცრეალურადგამოიხატებაპოლიტიკურიკონტექსტიდან, ასევეუნდაითქვასისიც, რომომისპერიოდშიდამასშემდეგაცსაქართველომსაერთაშორისოორგანიზაციებისადაკო ნკრეტულიქვეყნებისგანმიიღოსხვადასხვასახისჰუმანიტარულიდამატერიალურიდახმარ ება, თუმცა, უმთავრესიდასავლეთისპოლიტიკურინებაგახლდათ, რომელიცშესაძლოაარითვალისწინებდარადიკალურიმხარდაჭერისფორმებს, მაგრამ იგივესარკოზისჩარევამ, რუსეთისადასაქართველოსპირველპირებთანშეხვედრამდასხვაამდაგვარმაგამოსვლებმაა ლბათდააჩქარაცეცხლისშეწყვეტადაკონფლიქტისდიალოგისრეჟიმშიგადაყვანა. რაცშეეხებაშემდგომგანვითარებულსიტუაციასადაომისშედეგებს, რომლებიცსაერთაშორისოჩარევებისეფექტურობასაცგანსაზღვრავს,[15]მასგანვიხილავთშემ დგომქვეთავებში.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ფაქტობრივად აღარ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ჟენევის ფორმატზე გამართულ მოლაპარაკებებს, რომელსაც შედეგი თითქმის არასდროს არ აქვს. ასევე სამწუხაროა ის ფაქტიც რომ, არც მაღალ დონეზე ქვეყნების პირველი პირების შეხვედრა შემდგარა.

## 3.2 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები

შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოსთან ერთად წააგეს ევროპამდაამერიკისშეერთებულმაშტატებმა. რუსეთისგამარჯვებადასაკუთარიმიზნებისბოლომდეგანხორციელებაევროპისუსაფრთხ

[15],,დღეს ყველანი ქართველები ვართ!" ტაბულა 2011
http://www.tabula.ge/ge/tablog/65462-dghes-kvelani-qartvelebi-vart
(უკანასკნელად გადამოწმებულია 17.05.2019)

ოებისსისტემისათვისმიყენებულსაკმაოდძლიერდარტყმასწარმოადგენდა, რაცდღეისათვისკარგადაქვთგააზრებულიევროპაშიც,უკრაინისკრიზისისმაგალითზე. სწორედამიტომევროპასაუცილებლადმართებდარუსეთისმიერსაქართველოშიგანხორციელებულიპოლიტიკის გამო კრემლის მიმართ ქმედითი ნაბიჯებისგადადგმა.

აგვისტოს მოვლენებისას მთავარი იყო, რომ რუსეთს არ გასჩენოდა დასავლეთისაგან მისი მოქმედებების შესაბამისი პასუხის გარეშე დატოვების შესაძლებლობის შეგრძნება. თუმცა, 2008 წელს რუსეთს ამგვარი შეგრძნებაგაუჩნდა, რის შედეგსაც ჩვენ დღეს ვხედავთ უკრაინის კრიზისისა და რუსეთის მიერსაქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში საზღვრისსაკუთარისურვილის მიხედვით გადაადგილების მაგალითზე.2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის მხარდაჭერით, ცხინვალისსეპარატისტული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ არაერთხელ გადმოწიაოკუპირებული ტერიტორიის საზღვრი ჩვენი ქვეყნის სიღრმის მიმართულებით.

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ქვეთავი შეეხება ფაქტობრივ პარალელს, რომელიც 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ შექმნილ ვითარებებს ასახავს. ომის შედეგებს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად განმარტავს ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, გერმანიის მარშალის ფონდის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, კლინტონის პრეზიდენტობისას სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე რონალდ ასმუსი, რომელმაც 2010 წლის დასაწყისში საკმაოდ საინტერესო წიგნი გამოსცა სახელწოდებით: ,,მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა". საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად ასმუსი თავისი კავშირებიდან გამომდინარე ახლოს იყო დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებთან და აქედან გამომდინარე კარგად იცნობდა მრავალ კულვარულ ინფორმაციას.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების პოზიციებიდან გამომდინარე,[16] აღნიშნულ მონაცემებში ნათლად ჩანს საქართველოს მიმართ დამოკიდებულება. არსებობს სხვა რეალობაც, რომელიც მოიცავს დანაკლისების შედეგებს და ეს უკანასკნელი არ გულისხმობს მხოლოდ ტერიტორიათა ოკუპირებას.

ომის შემდგომ ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით კონფლიქტის დროს დაიღუპა 850 ადამიანი, მათ შორის 365 ოსი, 170 ქართველი სამხედრო და 65 რუსი ჯარისკაცი; 100 000 მეტი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი. კონფლიქტის მსვლელობის დროს მოკლულია სამი და დაჭრილია 12 ჟურნალისტი. 8 აგვისტოს დაიღუპა ორი ქართველი ჟურნალისტი. აქვე წარმოგიდგენთ მონაცემებს, რომლებიც IDFI-ის მიერ არის გამოქვეყნებული, საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან მოწოდებული დოკუმენტაციასა და ოფიციალურად განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2009 წლის სექტემბერში ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ომის ანგარიშში ვკითხულობთ „კონფლიქტის ყველა მხარემ -ქართულმა, რუსულმა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა – დაარღვიეს საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კანონები“. ანგარიში ამბობს, რომ შეუძლებელი იყო ქართული მხარის განცხადებების დადასტურება იმის თაობაზე, რომ რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჯარები შეიყვანა მანამ, სანამ იქ ქართული ჯარი გაიგზავნებოდა 7 აგვისტოს.

ტალიავინის ამ დასკვნის ფონზე ალბათ არ უნდა არსებობდეს შემდეგი ჩამონათვალი:

8 აგვისტო, 2008 დაიბომბა გორის საარტილერიო ბრიგადათბილისიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდებარე მარნეულის სამხედრო აეროდრომირუსულმა სამხედრო ავიაციამ დაბომბა მარნეულის და ბოლნისის სამხედრო ბაზებიჭურვი ვაზიანის სამხედრო აეროპორტშირუსულმა СУ-24 დაბომბა ქარელის რაიონის სოფელი

---

[16]აშშ-სკონგრესისკვლევითისამსახური. საქართველო: ბოლოდროსგანვითარებულიმოვლენებიდააშშ-სინტერესები 2013. გვ 39
(უკანასკნელად გადამოწმებულია 20.05.2019)

ვარიანირუსულმა სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავმა 3-5 ჭურვი ჩამოაგდო სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე.

9 აგვისტო,2008 რუსული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების მიერ დაიბომბა ჩხალთა, ზემოაფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრი,დაიბომბა ონიკვლავ დაიბომბა კოპიტნარის აეროდრომიგარდაბნის რაიონის სოფელი გაჩიანი,დაიბომბა საპორტო ქალაქი ფოთივაზიანის პოლიგონიმნათობი ჭურვები ჩამოვარდა სენაკის სამხედრო ბაზაზედაიბომბა ქალაქ ფოთის პორტი.

10 აგვისტო, 2008 ორმა რუსულმა ავიაგამანადგურებელმა დაბომბა კოდორის ხეობა,დაიბომბა სენაკისაავიაციო ქარხანა "თბილავიამშენი" თბილისი, რუსეთის ავიაციამ ჩამოყარა ჭურვები თბილისის სამოქალაქო აეროპორტში,დაიბომბა გორიდა სხვ.

11 აგვისტო,2008 დაიბომბა სენაკის აეროპორტის ასაფრენი ბილიკი და სენაკის სამხედრო ბაზა, გორის სატანკო ბატალიონი.შირაქის აეროდრომიდაიბომბა კოდორის ხეობა, ბათუმთან ახლოს მდებარე სოფლები შარაბიძეები, კაპანდიჩი და მახო.

12 აგვისტო,2008 რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბეს გორის ცენტრალური მოედანი და ბაზარიფაქტებზე დაყრდნობით იერიშები მიტანილია თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით სტრატეგიულ ობიექტებზე. რომლის შედეგიც დასრულდა ტერიტორიათა ოკუპირებით. 2008 წელს ოსი სეპარატისტებისა და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ ცხინვალის რეგიონში საქართველომ დაკარგა კონტროლი 151 დასახლებულ პუნქტზე, მათ შორის 135 ცხინვალის რეგიონში და 16 კოდორის ხეობაში. თუმცა ეს ყველაფერი არ არის და სამწუხაროდ დღესაც მიმდინარეობს „მცოცავი ოკუპაცია".

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად შესაძლებელია ასევე ჩავთვალოთ: 2008 წლის აგვისტოს ომმა თვალნათლივ აჩვენა, რომ საქართველოს კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასთან და ამ კონფლიქტში ეთნიკური აფხაზი და ოსი საქართველოს

მოქალაქეები, რუსეთის ხელისუფლებისმიერ გამოყენებულია საშუალებად, რასაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ შევხვედრივართ. აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ევროკავშირის მიერ ახალი ფართომასშტაბიანი ინიციატივის - „აღმოსავლეთის პარტნიორობის"შემუშავება.

ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა. გლობალური ამბიციების მქონე სახელმწიფოს მიერ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარებას, მხოლოდ ისეთმა ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი, როგორიცაა ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ.

2008 წლის აგვისტოსომის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად[17]დიდი მცდელობისა, ვერგანახორციელა საქართველოს ხელისუფლების ცვლილება, თუმცა „ფარულიხელით" დღემდე ცდილობს შეცვალოს საქართველოს ევროინტეგრაციისკურსი, როგორც ეს 1921 წელს, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგმოახერხა.

## 3.3 რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება

2008 წლის 26 აგვისტოს, უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ დიმიტრი მედვედევმა განაცხადა შემდეგი სიტყვები: ,,გამომდინარეშექმნილისიტუაციიდან, აუცილებელიაგადაწყვეტილებისმიღება. გავითვალისწინეთრაოსიდააფხაზიერებისთავისუფალინებისგამოვლინება, ვიხელმძღვანელეთრაგაეროსწესდებით, 1970 წლისდეკლარაციითსაერთაშორისოსამართლისპრინციპებისშესახებ,

[17]გელაშვილი,გ."აგვისტოსომისშედეგებისსამათლებრივ-პოლიტიკურიშეფასება", გორი, 2011. გვ:9

რომელიცეხებამეგობრულურთიერთობებსსახელმწიფოებსშორის, ჰელსინკის 1975 წლისდასკვნითიპაქტით, სხვაფუძემდებლურიდოკუმენტებით, მეხელიმოვაწერებრძანებულებებსრუსეთისმიერსამხრეთოსეთისდამოუკიდებლობისად აფხაზეთისდამოუკიდებლობისცნობისთაობაზე" ამით სიტყვებით აცნო საზოგადოებას ორიზემოთხსენებულირეგიონისდამოუკიდებლობისაღიარა.[18]

ვიდრეკონკრეტულადამპერიოდსგანვიხილავდეთ, ხაზიგავუსვათისტორიულვითარებასაფხაზეთისადაე.წ. სამხრეთოსეთისრეგიონებთანდაკავშირებით. ჯერკიდევ 1990-იანიწლებისპერიოდშიწარმოქმნილიკონფლიქტირუსეთ-საქართველოსშორის, რომელიცომშიგადაიზარდა, ბადებდაზემოთხსენებულირეგიონებისდამოუკიდებლობისაღიარებას, რასაცემატებოდააღნიშნულრეგიონებშიჩატარებულირეფერენდუმებიდამოუკიდებლობისაღიარებისშესახებ. ამშემთხვევაშირეფერენდუმისშედეგებს, მიუხედავადიმისაიყოთუარაისქართულიმხარისსასარგებლოდგადაწყვეტილი, სამართლებრივიმნიშვნელობაარგააჩნიარიგიმიზეზებიდანგამომდინარე. გასათვალისწინებელიაისფაქტი, რომრეფერენდუმსატარებსდე-ფაქტოხელისუფლებადამეორე გასათვალისწინებელია გარემოება, რომლისმიხედვითაცშეგვიძლიავთქვათ, რომაღნიშნულიტერიტორიებიდანდევნილისაზოგადოებასრულადიგნორირებულიდა ,,კუთვნილხმას" მოკლებულნიარიან. რუსეთ-საქართველოსომისშემდეგ, აფხაზეთისდამოუკიდებლობასცნესრუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ნაურუმდატუვალუმ. აფხაზეთისდე-ფაქტოსაგარეოსაქმეთამინისტრისმოლოდინიამშემთხვევაშისრულადგანსხვავდებაჩვენი ქვეყნისლეგიტიმურიხელისუფლებისმიერდაგეგმარებულიღონისძიებებისაგან. ვიაჩესლავჩიკირბაამბობს: „მევფქირობ, რომშორსარარისისდღე,

---

[18]RNZ Stations http://www.rnzi.com/pages/news.php?op=read&id=74702
(უკანასკნელად გადამოწმებულია 23.05.2019)

როცააფხაზეთსუნივერსალურადსცნობენ, მათშორისსაქართველოც. საქართველოშიცკიმიხვდებიანიმას, რომჯობიააფხაზეთისსახითჰყავდეთმეზობელი, რომელთანშეიძლებაიმეგობრო, ივაჭროდაიყოკარგიმეზობელი, ვიდრეიყომუდმივადმტერი. საქართველოსცნობა, გააადვილებსაფხაზეთისაღიარებასსხვაქვეყნებისმხრიდან.“ მისივეთქმითაღიარებისპოლიტიკასამშემთხვევაშიდასავლეთის, კერძოდკიამერიკისპოლიტიკაუშლისხელს: „ამერიკელებიაქტიურადუშლიანხელსაფხაზეთისაღიარებისპროცესს, რომელიცუკვეშეთანხმებულიიყო. მაგალითად, ამერიკამ ჩაშალადომინიკისრესპუბლიკისაღიარება. ისინიემუქრებიანეკონომიკურისანქციებით, მათზემოქმედებისზევრიბერკეტიაქვთ. ევროკავშირიემუქრებოდაბელორუსიასდაყაზახეთს, რომარეცნოთაფხაზეთიდა ე.წ.სამხრეთოსეთი. ძალიანდიდიწინააღმდეგობაა, ესრომარყოფილიყო, აქამდეძალიანბევრიქვეყანაგვაღიარებდა.

არსებობსმოსაზრებებიიმისთაობაზე, რომრუსეთისფედერაციისმიერაფხაზეთისადაცხინვალისრეგიონისდამოუკიდებლობისა ღიარება, ერთგვარისადამსჯელოღონისძიებაასაქართველოსმიმართ, რომელიცდასავლურიკურსისმატარებელიგახდა. არსებობსვერსიები, რომესნამდვილადამორირეგიონისსურვილია, რაცმრავალიგარემოებიდანგამომდინარესრულიაზსურდია, მაგრამყოველიფაქტისგათვალისწინებითგასაკვირინამდვილადარარის, რომსაქართველოსხელისუფლებამუდმივადუნდაცდილობდესტერიტორიებისდაბრუნებ ას, რაცერთბაშადნამდვილადვერმოხდება, მანამდეკიუნდაგაკეთდესმაქსიმუმი, რათამოხდესსწრაფირეაგირებებიაფხაზეთისადაე.წ. სამხრეთოსეთისრეგიონებისაღიარებასთანდაკავშირებით, რაცშესაძლოარუსულიძალისხმევითკიდევგანხორციელდესრამოდენიმექვეყანაში. სწორედმიზეზიასაქართველოსდელეგაციისმიერჩანიშნულირამოდენიმეშეხვედრისაამწ

ლებისგანმავლობაში. მაგალითად: 2013 წლის 1მარტსსაქართველოშიკუბისარარეზიდენტელჩსპირადადსაგარეო საქმეთამინისტრიმაიაფანჯიკიძეშეხვდა, მინისტრისმოადგილედავითჯალაღანიამკიფიჯის, ნიგერიის, პანამის, იორდანიისადაინდონეზიისარარეზიდენტელჩებსუმასპინძლა. ჯალაღანიასხელმძღვანელობით, ქართულმადელეგაციამმარტისპირველნახევარშიმოიარავიეტნამი, ლაოსი, მიანმარიდატაილანდი. 17 მარტსკიეგვიპტისდედაქალაქშიარაბულსახელმწიფოთალიგასეწვია.

რუსეთისფედერაციისმიერაფხაზეთისადასამაჩაბლოსაღიარებისპოლიტიკისგავრცელება არასამართლებრივიპროცესებითვითარდებოდა, რასაცმრავალიფაქტიმოწმობს. ინფორმაცია, რომვანუატუსარუცვნიააფხაზეთისდამოუკიდებლობა 2011 წლისზაფხულში, 18 მარტს, ახალზელანდიურმარადიომ, ვანუატუსმაღალირანგისოფიციალურიპირისჯ.კოანაპოზედაყრდნობითგაავცელა. მეორედღესესინფორმაციადაადასტურაპრემიერმინისტრმასატოკილმანმარომელიცადრე ამტკიცებდა, რომვანუატუმაფხაზეთთანდიპლომატიურიურთიერთობადაამყარა. ვანუატუსსაგარეოსაქმეთაყოფილიმინისტრიჯონატუმანიამბობს, რომრუსმადიპლომატებმა, ჯერკიდევ 2010 წელსშესთავაზეს 50 მილიონიდოლარიაფხაზეთისდამოუკიდებლობისცნობისსანაცვლოდ, მაგრამმანუარი თქვა. ნატუმანისმტკიცებითსატოკილმანმააღიარებაშიფულიაიღო.

თუვიტყვით, რომრუსეთისფედერაციამომავალშიცამტიპისმოლაპარაკებებითშეეცდებააღიარებინოსრ ომელიმექვეყანასაფხაზეთისადაე.წ. სამხრეთოსეთისდამოუკიდებლობა, მაშინშეგვიძლიავივარაუდოთისიც, რომზემოთჩამოთვლილქვეყნებსარცისედიდირიცხვიმიემატება, რაცსაქართველოსაძლევსსაშუალებას,

რომდაიწყოსეფექტურირეგულირებისპოლიტიკაურთიერთობებში. ამასთანერთად, ვფიქრობ, რომგაყინულიპოლიტიკურიმდგომარეობაადრეთუგვიანაუცილებლადგამოიწვევსშინაგა ნმოთხოვნილებასთუნდაცდაპირისპირებულიმხარეებისგან, რომშედგესდიალოგი, რომლისმიზანიცკონფლიქტისმოგვარებაგახდება. აღნიშნულპერიოდშიკიგამარჯვებამშესაძლოატერიტორიული მთლიანობის რელური იმედებიც გააჩინოს.ასევე აღსანიშნავია, ის ფაქტიც,რომ სირიაში ასადის რეჟიმის მიერ გამოცხადდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, სადაც ქართული მხარე რუსეთის მანიპულირებაზე საუბრობს, გთავაობთ საქართველოს საგარეო უწყების პირველი პირი მიხეილ ჯანელიის კომენტარს,[19] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:საქართველოს საგარეო უწყების პირველი პირი სირიის არაბთა რესპუბლიკის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას ეხმაურება.

მიხეილ ჯანელიძე ასადის რეჟიმს აღნიშნულ გადაწყვეტილებით საერთაშორისო სამართლის დარღვევაში სდებს ბრალს.

„სირიაში რუსეთის მიერ მანიპულირებადი ასადის რეჟიმის მიერ საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის - აფხაზეთსა და ცხინვალის (სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობის აღიარება არის ასადის მხრიდან საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთი უხეში დარღვევა და უნდა დაიგმოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ“, წერს მიხეილ ჯანელიძე „თვითერზე".

[19]სირიისმიერაფხაზეთისადაე.წ. სამხრეთოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარება2018წ.http://guardian.ge/34031-mikheil-janelidzis-thqmith-siriis-mier-afkhazethisa-da-ets-samkhreth-osethis-damoukideblobis-aghiareba-saerthashoriso-samarthlis-ukheshi-darghvevaa.html (უკანასკმელად გადამოწმებულია28.05.2019)

# თავი: IV

# რუსეთ-საქართველოსურთიერთობათაპერსპექტივები

## 4.1. რუსეთ-საქართველოსურთიერთობებისდარეგულირებისპერსპექტივებით ანამედროვეეტაპზე

დღეს-დღეისობით რუსეთსაქართველოს ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივებზე საკმაოდ რთულია საუბარი, თუმცაღა ჩვენ მაქსიმალური უნდა გავაკეთოთ, ვაეთოთ ის რაც ჩვენს ძალებს აღემატება.

ჩემის აზრით აუცილებელია სამოქალაქო სექტორის უფრო მეტად ჩართულობა, ბუფერულ სახელმწიფოებში ქართველი, ოსი და აფხაზი ახალგარდების საერთო ტრენინგზე გაშვება, ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, თუმცაღა გასათვალისწინებელია, ის ფაქტორიც, რომ აღნიშნული პროექტი შეიძლება ურთიერთაგრესიის მიზეზი გახდეს, რასაც ხელი უნდა შეუშალონ პროექტის ორგანიზატორებმა და კარგად გათვალონ თითოეული მოსალოდნელი შედეგი. აღნიშნული პროექტი საკმაოდ წარმატებით მუშაობს უკვე რამოდენიმე წელია,[20]

2008 წლისრუსეთ-საქართველოსომისშემდეგ, მივიღეთრთულივითარებაურთიერთობებისკუთხით. თუმცავარდებისრევოლუციისშედეგადმოსულიხელისუფლებისაგანგანსხვავებით, 2012 წელსმოსულმახელისუფლებამრუსეთისფედერაციასთანურთიერთობებისფორმატირად იკალურადშეცვალა. იგულისხმებაის, რომამჯერადხორციელდებაურთიერთობათარეგულირებისპოლიტიკა,

---

[20]ერევანში ქართველი ოსიდა აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრა 2013წ
http://saqinform.ge/news/13506/erevanshi+qarTveli,+osi,+afxazi+da+somexi+axalgazrdebis+shexvedra+gaimarTa.html
(უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)

რომელიცაგრეთვეითვალისწინებსოკუპირებულიტერიტორიებიდანჯარებისგაყვანისმოთხოვნას. მიუხედავადრუსეთთანდაკავშირებულიგართულებულიურთიერთობებისა, უნდააღინიშნოს, რომსაქართველოსმოსახლეობამეტნაკლებადკარგადიცნობსრუსულკულტურასადამისხალხს, რაცასევთქვათაიოლებსხალხთაშორისურთიერთობებისდარეგულირებას. შეიძლებაითქვას, რომმიუხედავად 2008 წლისომისადაოკუპირებულიტერიტორიებისა, რუსეთისადასაქართველოსმოსახლეობასშორისურთიერთობებიარასდროსგამქრალა, რაცთავისმხრივმოიცავსროგორცკულტურულ, ისეეკონომიკურურთიერთობებს. ამუკანასკნელისმაგალითშიშეგვიძლიაისიცვთქვათ, რომმიუხედავადრუსეთისფედერაციისხელმძღვანელობისმცდელობისა, რაშიცთემაშიგანხილულემბარგოებსსადამსგავსქმედებებსვგულისხმობ, არასდროსგაწყვეტილასრულადეკონომიკურისარგებლისმიღება. რაშიცერთისმხრივგაცვლითი, ანუვაჭრობითიპოლიტიკა, ხოლომეორესმხირვგზავნილებიიგულისხმება.

აუცილებლადუნდააღინიშნოსისიც, რომთანამედროვეეტაპზეჯერკიდევარაღდგარუსეთ-საქართველოსშორისდიპლომატიურიურთიერთობები, თუმცაშეიქმნასპეციალურიფორმატი, რომელსაცამორიქვეყნისპირველპირთაწარმომადგენლებიანხორციელებენ. ე.წ. კარასინი-აბაშიძისფორმატიწლებისმანძილზეითვალისწინებდარუსეთ-საქართველოსშორისურთიერთობათადარეგულირებისსაკითხებს, ასევე განიხილებოდაწლებისმანძილზესაზოგადოებისათვისმნიშვნელოვანი, ისკონკრეტულიფაქტები, რომლებიცორიქვეყნისერთობლიობითუნდაგადაწყვეტილიყო. ალბათლოგიკურიაკითხვაიმისშესახებთურატომარხორციელდებადიპლომატიურიურთიერთობებისოფიციალურიაღდგენა, თუმცაამასმარტივიპასუხიშეიძლებაგაეცეს.

პროცესებისნეგატიურიგანვითარება, ვგულისხმობე.წ. საზღვრებისუკვეპერმანენტულგადმოწევას, აფხაზეთისადაე.წ. სამხრეთოსეთისდამოუკიდებლობისაღიარებადასხვაამტიპისპოლიტიკურიქმედებებიდა ნგამომდინარესაქართველოიძულებულიაარგანაახლოსდიპლომატიურიურთიერთობა, ასეთშემთხვევაშიესაღიქმება, როგორცუკანდახევადაარსებულიმდგომარეობისშეგუება.

პოლიტიკურიგარემოებადაიძაბებათუდარეგულირდებაამასდროგვიჩვენებს, თუმცაფაქტებმანათელი მოფინა, რომკულტურულიურთიერთობებისსრულიწყვეტაშეუძლებელიცკიაღმოჩნდა. უნდააღინიშნოს, რომსაბჭოთაკავშირისდანგრევისშემდეგმრავალმაქართველმაშეინარჩუნამეგობრულიურ თიერთობებირუსეთისმოსახლეობასთან, მრავალიმათგანიდანათესავდა, აგრეთვეხშირიაფაქტები, როცაამორიქვეყნისწარმომადგენელისაზოგადომოღვაწენიმოგზაურობენერთმანეთისქვე ყნებშიდაასრულებენთავისიქვეყნისათვისდამახასიათებელკონცერტებს. ესყოველივეშეუქცევადიპროცესიგახდამიუხედავადიმისა, რომწლებისმანძილზესაქართველოშიპირდაპირიგზითხორციელდებოდაანტირუსულიკ ამპანია. იკრძალებოდარუსულისიმღერებისსაზოგადოებრივადგილებშიმოსმენადაა.შ. ამდასხვაფაქტებზედაყრდნობით, შეგვიძლიავივარაუდოთ, რომრუსეთ-საქართველოსშორისკულტურულიურთიერთობებიმუდმივადუწყვეტია, რასაცაგრეთვეუწყობსხელსისფაქტიც, რომსაქართველოშიმოღვაწეარტისტებითუმომღერლებირუსეთშიცარაერთგზისარიანაღ იარებულნიდამათმიერწლებისწინმოპოვებულპატივისცემასპოლიტიკაერთიხელისმოსმ ითნამდვილადვერგაანადგურებს. პარადოქსია, მაგრამამკუთხითთუშევხედავთრუსეთ-საქართველოსურთიერთობებშიერთ-ერთიდამხმარეძლიერირგოლისწორედკულტურულიდახალხთაშორისიურთიერთობები ა, რაცმიმართულიარეგულირებაზეკიდევაღვნიშნავ, რომესარგულისხმობსოკუპირებულიტერიტორიებისარსებობისშეგუებას.

საქართველოსსაგარეოსაქმეთასამინისტროსოფიციალურვებ-გვერდზეგანხილულიაურთიერთობათაზოგადიკონტექსტებისხვადასხვაქვეყნებთან, ერთ-ერთმათგანსწარმოადგენსრუსეთისფედერაცია, რომელთანმიმართებაშიგანსაზღვრულპოლიტიკურკურსსაცგთავაზობთუცვლელად:

,,საქართველოსმიზანიარუსეთისფედერაციასთანდაძაბულიურთიერთობებისდეესკალაციადასაქართველოსსუვერენიტეტის, ტერიტორიულიმთლიანობისადამისისაერთაშორისოდაღიარებულისაზღვრებისურღვეობისპატივისცემისსაფუძველზეურთიერთობებისნორმალიზაცია, რისისაწინდარიცუნდაგახდესრუსეთისმიერსაქართველოსტერიტორიისდეოკუპაციადამისმიერსაქართველოსოკუპირებულირეგიონებისაღიარებისგაუქმება.

უსაფრთხოების, სტაბილურობის, იძულებითგადაადგილებულპირთაუსაფრთხოდაღირსეულიდაბრუნებისსაკითხებთან დაკავშირებით, საქართველოსადარუსეთსშორისურთიერთობებისმთავარიფორმატი, კვლავჟენევისსაერთაშორისომოლაპარაკებებიიქნება. საქართველოდარუსეთსშორისარსებულიდაძაბულიურთიერთობებისდეესკალაციისთვის, საქართველო, საჭიროებისშემთხვევაში, გამოიყენებსსაქართველოსმთავრობისინიციატივითრუსეთთანჩამოყალიბებულარაფორმალურიპირდაპირიდიალოგისფორმატს, სადაცგანიხილებაორმხრივიურთიერთობებისდღისწესრიგშიარსებულივაჭრობის, სატრანსპორტოკავშირებისადაკულტურულ-ჰუმანიტარულიურთიერთობებისსფეროებთანდაკავშირებულიისპრაქტიკულისაკითხები, რომელიცჟენევისმოლაპარაკებებისმიღმარჩება.

საქართველო-რუსეთსშორისურთიერთობებისდეესკალაციასარგანიხილავს, საქართველოსევროპულიდაევროატლანტიკურიინტეგრაციისალტერნატივად. ესორიპროცესიპარალელურრეჟიმშიწარიმართება - საქართველოსევროპულიდაევროატლანტიკურიარჩევანი,

რომელიცქართველიხალხისთავისუფალინებისგამოხატულება გადასინჯვას არ ექვემდებარება.[21]

## 4.2. ეკონომიკური ასპექტები

საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ურთიერთობების დარეგულირებაში ეკონომიკური ფაქტორი, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებაში ეკონომიკურ ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უკავია.

სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გამძაფრება, ექსპორტ-იმპორტის წახალისება, გადაიზრდება პოლიტიკურ თანამშრომლობაში და გამოიწვევს სახელმწიფოების დაახლოებას.

რუსეთ–საქართველოს შორის ჯერ კიდევ არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე რუსული კაპიტალდაბანდებები ყოველწლიურად იზრდება, რაც თავის მხრივ ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის დადებითი მოვლენაა, თუმცა აღნიშნული ინვესტიციების ისეთ სტრატეგიულ სექტორებში განთავსება, როგორიცაა ფინანსური სექტორი, ენერგეტიკული სექტორი და სხვა, შესაძლოა გარკვეული საფრთხის შემცველიც კი გახდეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ერთი ქვეყნის მეორეზე სრული დამოკიდებულება მომგებიანი პოზიციებიდან ძალიან შორსაა, ამიტომ მუდმივად ხდება სათადარიგო, ან ალტერნატიული ბაზრების მოძიება, რაც ჩემი აზრით, ჯანსაღი პროცესია. ამასთანავე არ შეიძლება რომელიმე ქვეყანას, მითუმეტეს ოკუპანტს

---

[21]საქართველო რუსეთის ურთიერთობები - პრობლემების გადაჭრის გზები 2014, 27 ივლისი, 21:04 ,,intermedia"
http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx
(უკანასკნელად გადამოწმებულია 07.06.2019)

მიეცეს ეკონომიკური თვალსაზრისით შენი მართვის საშუალება, ქვეყნის შიდა საქმიანობებში უხეში ჩარევა და ა.შ. ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ალტერნატივების მოძიების აუცილებლობას ნებისმიერ შემთხვევაში და ამასაც რომ დავანებოთ თავი სხვადასხვა ბაზართა ერთ სივრცეში მოქცევა ყოველთვის კონკურენციას ზრდის.[22]

რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დიპლომატიურიურთიერთობებისარარსებობისპირობებშიშესაძლებელიგახადასავაჭრო-ეკონომიკურიურთიერთობებისაქტივიზაცია, ხოლორუსულიემბარგოსმოხსნისშემდეგრუსულიბაზარიქართულისოფლისმეურნეობის პროდუქციისთვის, მინერალურიწყლებისადაღვინისთვისგაიხსნა.

თუ 2012 წლისმონაცემებით, რუსეთისაქართველოსსავაჭროპარტნიორებსშორისმეექვსეადგილსიკავებდა, უკვე 2013 წელს 779 მილიონდოლარიანიმაჩვენებლითიგიმეოთხეადგილზეგადავიდა. იმავეწელს, ქართულპროდუქციაზესავაჭროემბარგოსმოხსნისშემდეგ, ექსპორტიოთხჯერ, 45 მილიონიდოლარიდან (2012 წელს) 190 მილიონდოლარამდეგაიზარდა. უკვე 2014 წელს, ბოლო 15 წლის განმავლობაში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია – სახელმწიფოთა შორის ვაჭრობას ამ ნიშნულისთვის რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებულ სავაჭრო ემბარგომდეც კი არ მიუღწევია. (852,6 მილიონდოლარიანისავაჭრობრუნვით) რუსეთისაქართველოსმთავარისავაჭროპარტნიორებისსამეულშიშევიდადამხოლოდთურ ქეთსდააზერბაიჯანსჩამორჩებოდა, ხოლო 2017-2018 წლებშიაზერბაიჯანიუკანჩამოიტოვადამეორეადგილიდაიკავა (სავაჭრობრუნვამ 2017 და 2018 წლებშიშესაბამისად 1,183 მილიარდიდა 1,373 მილიარდიდოლარიშეადგინა). ამასთან, საქართველოდან რუსეთში საქონლის ექსპორტმა განაახლა ისტორიული მაქსიმუმი – 275 მლ აშშ დოლარის ოდენობით, ვაჭრობაში მზარდი ტენდენცია

---

[22] FRENEMIES – რუსეთ-საქართველოსთანამშრომლობისშესაძლებლობები. კავკასიური სახლი 2016 წ. http://regional-dialogue.com/russia-georgia-cooperation/
(უკანასკნელად გადამწმებულია 11.06.2019)

შენიშნება. 2014 წელს რუსეთი მესამე ადგილს დაუბრუნდა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად პარტნიორებს შორის, საერთო წილით – 7,4%. 2014 წელს საქონელბრუნვამ ქვეყნებს შორის 9,5% შეადგინა. რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში შეადგენს 9.6 პროცენტს (274.9 მლნ აშშ დოლარი - 2014წ), იმპორტში 6.7 პროცენტს (577.7 მლნ აშშ დოლარი - 2014წ), ხოლო ფულად გზავნილებში 49.2 პროცენტს (709.2 მლნ აშშ დოლარი - 2014წ). არსებული მდგომარეობით ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეადგენს 15 პროცენტს.თეორიის თვალსაჩინოებას სტატისტიკური მონაცემები და დიაგრამები წარმოადგენს, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით გთავაზობთ.[23]მინდა კიდევ ერთხელ ავღნიშნო, რომ ალტერნატიული ბაზრების მოძიება სულაც არ ნიშნავს არსებულზე უარის თქმას, ეს გზა მხოლოდ რისკების შემცირებასთან იქნება დაკავშირებული და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მდგრადობას უზრუნველყოფს, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა გახდეს პოლიტიკური დავის საგანი.[24]

---

[23]საქართველო-რუსეთისეკონომიკურიურთიერთობები 2008-2016 წლებში. 2016წ.

https://idfi.ge/ge/georgia_russia_economic_relationships_in_2008_2016_years

(უკანასკნელად გადამოწმებულია 12.06.2018)

## 4.3. პოლიტიკური პერსპექტივები

ჩემის აზრით რუსეთ-საართველოს შორის არსებული ურთიერთობების დარეგულირებაში პოლიტიკას უმნიშვნელოვანესი როლი უკავია. ამ ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მრავალი სადაო საკითხია გადასაწყვეტი. ერთ-ერთი პირველი დაკავშირებულია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენასთან. საქართველოში ამჟამად არსებული ხელისუფლება ადასტურებს, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური და თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღრმავება[25] სურს, თუმცა არის ხელის შემშლელი ფაქტორებიც. დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკავშირდება რამოდენიმე საკითხს, რომელთაგანაც ერთ-ერთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებთან არის დაკავშრებული. თანაც, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტიაოკუპირებული და ასევე ჯარების განლაგება საქართველოს ტერიტორიებზე კიდევ ერთხელ ამძიმებს თანამშრომლობითი პოლიტიკის გაღრმავებას.

ომის შემდგომ პერიოდში გვესმოდა განცხადებები რუსეთის პირველი პირების მხრიდან, ვ.პუტინმადავ.მედვედევმარამოდენიმეჯერგაიმეორესაგვისტოსომისშემდეგ, სანამსააკაშვილიახელისუფლებაში, ისინიარდაელაპარაკებიანსაქართველოსხელმძღვანელობას. ამგვარიგანცხადებისჩანაფიქრიიყოაგვისტოსშემდგომისტატუსკვო-ს „გაყინვა“, მოლაპარაკებებისპერსპექტივისჩაკეტვადამიზნადისახავდაშიდაძალებისწახალისებასმ.სააკაშვილისშესაცვლელად, რაც თითქოსგზასგახსნიდაძლევამოსილჩრდილოელმეზობელთანურთიერთობისაღდგენისა

[25]ომისშემდგომიგამოწვევებიდაპერსპექტივები 2009წ.საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4---0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz800&cl=CL2.16&d=HASH019fc50d99ded66334486372.6&x=1
(უკანასკნელად გადამოწმებულია14.06.2019)

თვის. პუტინისგანცხადებამაგვისტოსომისდასრულებისთანავე, საწინააღმდეგოშედეგიგამოიღო, მოსკოვისგათვლებისსაპირისპიროდ, სააკაშვილისრეიტინგიაგვისტოსომისშემდგომგარკვეულპერიოდშიკიდევუფროგამყარდა. ახლაცკი, ოპოზიციურიპარტიებისუმრავლესობასაჭიროდმიიჩნევსგაემიჯნოსმოსკოვთანნებისმიერიკონტაქტისდამყარებისმცდელობას, რადგანარდაბრალდეთანტიპატრიოტულიქმედება რაც ჩემთვის გულდასაწყვეტი ფაქტია, ურთიერთობის აღსადგენად საჭიროა კომონიკაცია. გაყინულიჩიხიდანგამოსასვლელადალტერნატიულიარხებისძიებისმაგივრად, თუნდაცოპოზიციისლიდერთააქტივობისსაშუალებით, რეალურისიტუაციასაქართველოშიხელსუშლისმოსკოვთანდასეპარატისტულმთავრობებთანკონტაქტისდამყარებისყველამცდელობას,ყოველიასეთიმცდელობისინიციატორსსახელმწიფოსწინააღმდეგძირგამომთხრელსაქმიანობაშიბრალდებისსაშიშროებასუქმნის.

რუსეთ-საქართველოსურთიერთობათასაკითხისირაციონალურსფეროშიმოქცევაიმფიქრებისმთელიჯაჭვისთავიდანაცილებისსაშუალებაა, რომელიცაუცილებლადდაიპყრობსხალხისგონებასდამარტივჭეშმარიტებასგამოავლენს: ყველაისპროცესი, რომელიცპრობლემებისშესახებდიალოგს, ნდობისაღდგენას, ურთიერთობებისდამყარებასემსახურება, მომავალშიქვეყნისმთლიანობისაღდგენისშანსსწარმოქმნიდა, დღევანდელიხელმძღვანელებისპოლიტიკურკეთილდღეობასეწირება, იმლიდერებისა, რომელთაცარშეუძლიათერთმანეთთანსაუბარი.

სამომავლო პერსპექტივებზე საუბრისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისშემშლელ ფაქტორებთან ერთად არსებობს ხელშემწყობი გარემოებებიც, ერთ-ერთი მათგანი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობაა. ვფიქრობ, რუსეთის ფედერაციის

ხელისუფლება კარგად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს აქვს გარკვეული მნიშვნელობა რეგიონში, თავისი გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს პროდასავლური კურსი თავად დასავლურ ძალებს აძლევს ფეხის მოკიდების საშუალებას რეგიონში, რაც რუსეთის ფედერაციის გავლენას დაასუსტებს.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ რუსეთსაქართველოს ურთიერთობათა ისტორიული ეტაპებიც, სადაც კარგად ჩანს, რომ რუსეთი მზად არის დაარღვიოს ყველა წესი საკუთარი მიზნების მისაღწევად. მისი მიზნების დიფერენცირება შესაძლოა შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

1) რუსეთს სურს იყოს რეგიონში წამყვანი ძალა და ისწრაფვის გავლენის სფეროების აღდგენისკენ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე

2 )როგორც მედვედევი აღნიშნავს[26], რუსეთი აღიარებს მულტიპოლარულ მსოფლიოს, ამიტომ არ სურს დასავლეთის და უფრო მეტად ამერიკის გავლენის გაზრდა კავკასიაში.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს ფართოდ გავშლით კიდევ მრავალი მიზანი აღმოცენდება, თუმცა ყურადღებას რამოდენიმეზე გავამახვილებთ. კავკასიის რეგიონში გავლენის დაკარგვა ან დათმობა რუსეთისთვის აღიქმება ახლო აღმოსავლეთზე გავლენის დაკარგვად, რაც მისთვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ზარალის მომატანიც იქნება. ამ ფონზე ლოგიკურია ის ფაქტი, რომ დასავლური ძალების გააქტიურება რეგიონში რუსეთის უმთავრეს მიზნებს ეწინააღმდეგება, რასაც ნებისმიერ ფასად შეუშლის ხელს და ვფიქრობ, რომ სწორედ ეს გახლდათ 2008 წლის ომის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც.

---

[26] Paul Reynolds, "New Russian World Order: the Five Principles", BBC News September 2008
https://dergipark.org.tr/download/article-file/422097
(უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2019)

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებზე საუბარი მრავალი კუთხით შეიძლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არსებული სამთავრობო კურსი ურთიერთობის რეგულირებას ცდილობს შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მიუხედავად მართულხლართების გადმოწევისა საომარი მდგომარეობების განახლებას აღარ უნდა ველოდოთ. მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ ახლო მომავალში არც საქართველოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა მოსალოდნელი, მითუმეტეს პროდასავლური კურსიდან გამომდინარე,ვფიქრობ თანდათანობით მოიკრებს ძალებს ჯერ კიდევ ახლად შექმნილი ევრაზიული კავშირი,მიმაჩნია რომ, რეგიონში საკმაო სიძლიერეს მოიპოვებს და ამ პერიოდისთვის საქართველო კიდევ ერთხელ დადგება არჩევანის წინაშე. იქიდან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელის პოლიტიკური კურსი დიდი ხანია დასავლეთის მიმართულებით არის გადახრილი რთულია რადიკალური მობრუნება და ალბათ არც არის ეს საჭირო თუმცა, ერთი რამ ფაქტია: რუსეთის ინტერესებთან ჭიდილი, საქართველოსთვის საკმაოდ წამგებიანი იქნება. ვფიქრობ დაგანვიხილავ იმ ფაქტორსაც, რომ რუსეთსაქართველოს შორის ურთიერთობის მეტად დაძაბვა თითქმის სავალალოა. 2008 წლის შემდეგ აღარავინ დაობს რუსეთის ,,მშვიდობისმყოფელობაზე“, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც არ სურს რეგიონში გავლენის დაკარგვა, თუმცა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების პოლიტიკა მან მაინც ვერ მოახვია თავს პარტნიორ ქვეყნებსაც კი, რაც, ყველასათვის არასასურველი ხისტი პოლიტიკის გატარებით იქნა გამოწვეული. ამის მაგალითზე სამომავლო ურთიერთობებზე საუბრისას ალბათ საგულისხმოა, რომ მსგავსი ნაბიჯების გადადგმას რუსეთი მხოლოდ გარდაუვალ სიტუაციაში დააპირებს, ვფიქრობ საქართველოს დღევანდელი ურთიერთმეზობლური პოლიტიკიდან გამომდინარე თითქმის წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ სტატუს-კვო შენარჩუნდება გარკვეული პერიოდი. ამ ეტაპზე საქართველოს უკვე ხმამაღლა აქვს განცხადებული საკუთარი კურსის არჩევანი, რაზეც რუსეთის ფედერაციის პასუხები გარკვეულწილად ჩავლილი მომენტია და ახლა დგას პერიოდი, როცა საქართველომ რეალურად უნდა დაიმკვიდროს ბიპოლარული სამყაროს რიგებში

კონკრეტული ადგილი. უახლოვეს მომავალში მხოლოდ ქმედითი ნაბიჯები შეცვლის სტატუს-კვოს და რომელი მათგანი იქნება რეალურად მომგებიანი ეს უკვე ცალკე საკვლევი თემის საგანია, რომელიც ხშირად ხდება დავის საგანი.

## დასკვნა

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომშიგანვიხილეთრუსეთსაქართველოს შორის არსებული ურთიერთობები, ისტორიულიასპექტებიდაფაქტები, რომლებიცმომავალსგანაპირობებს. აგრეთვევისაუბრეთეკონომიკასა დაპოლიტიკაზეაწმყოსათუმომავალზე, რომლისდანახვაცპერსპექტივაშილოგიკურადიქნებოდაშესაძლებელი. ვფიქრობ, რომრუსეთ-საქართველოსურთიერთობისყველამძიმეპერიოდისანალიზიიძლევასაშუალებასდაიგეგ მოსმომავალიურთიერთობისფორმატიისე, რომწამგებიანიპოზიციებისშესაძლოფაქტორებიწინასწარიქნესგათვალისწინებული. აგრეთვე, აღვნიშნავ, რომნაშრომშიყურადღებაგამახვილებულიაკონკრეტულიპოლიტიკისგატარებაზესხვადა სხვაპერიოდშიდაარითვალისწინებსსამხედროჩარევებისდეტალურგანხილვას, გეოსტრატეგიულასპექტებსადაშეტევისსტრატეგიებს. სწორედამიტომნაკლებადგავამახვილეყურადღება2008 წლის აგვისტოს ომისდეტალებსადასხვამრავალიიდეოლოგიურიკონფლიქტისსამხედროდეტალებზე.

ნაშრომის მთავარი მიზანია ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი, სწორედესფაქტორიგახდათემისშერჩეულკონტექსტშიდამუშავებისწინაპირობა.

სამაგისრტო ნაშრომში პასუხები გავეცით ჩვენი თემის მთავარ საკვლევ კითხვებს: რა იყო 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები?

ისტორიამგვაჩვენა, რომრუსეთსყოველთვისჰქონდასაკუთარიგანზრახვებიდამისწრაფებები, არამხოლოდსაქართველოსთანმიმართებაში, არამედრეგიონშიც, 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც რუსეთის ამბიციურობა იყო იგი ვერ შეეგუა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვას, რადგან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი აღნიშნულ ფაქტორს პირდაპირ საფრთხედ აღიქვამდა რუსეთისათვის. სწორედამმიზნების, საკუთარი განზრახვების მისაღწევად იგიარმოერიდაარცტერიტორიებისოკუპირებას და არცხელშეკრულებათადარღვევას.

ასევე, იყო თუ არა შესაძლებელი ომის თავიდან აცილება? დღევანდელი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომაგვისტოს ომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, თუმცაღა ასე მარტივად „პროვოკაციაზე წამოგებასაც" არ მოველოდი. იმ დროინდელ ხელისუფლებას, რომ მეტი სიფრთხილე გამოეჩინა შესაძლებელია მოვლენები უფრო სხვანაირად, შედარებით რბილად და ნაკლები დანაკარგით დასრულებულიყო. უახლესმაისტორიამგვიჩვენა, რომმკვეთრნაბიჯებსდასავლეთისმიმართულებითსახარბიელოშედეგამდენამდვილადა რმივყავართ, მითუმეტეს, რომქმედითინაბიჯებისგადმოდგმისაგანრუსეთი დღემდეთავსიკავებს. წლების მანზილზე მიღებულმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ არც დასავლეთის და არც ჩრდილოეთის მიმართულებით მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა საქართველს სარგებელს არ მოუტანს.

სწორედამიტომსაქართველოსხელისუფლებამაქსიმალურადუნდაცდილობდეს, ურთიერთობების დარეგულირბის პერსპექტივებად ,,მეზობლებისა" თუ ,,მეგობრების" მიმართულებითდაბალანსებული და ნეიტრალური, „ჩუმი" პოლიტიკაწარმოოს, რაცარასაკუთარითავისშეთავაზებით, არამედგეოპოლიტიკურიმდებარეობისგამოყენებითუნდახორციელდებოდეს.

ის ფაქტორი რომ, საქართველოწარმოადგენსერთგვაროზიექტს, სადაცმსოფლიოსორიჰეგემონიქვეყანაცდილობსფეხისმოკიდებას,

რათაგააძლიერონსაკუთარიგავლენარეგიონში, ჩვენმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს და უნდა იმოქმედოს ფრთხილად. თუ სათავისოდ ვერ გამოიყენებს არსებულ სიტუაციას, სხვებსაც „ლანგრით" არ უნდა მივართვათ საკუთარი ტერიტორიები.

ვფიქრობ საინტერესოა მოსაზრება, კითხვაზე, რაპერსპექტივებიარსებობსრუსეთ-საქართველოსურთიერთობისდასარეგულირებლად? წინამდებარენაშრომისძირითადიაზრიდაჰიპოთეზაცმიმართულიარუსეთ-საქართველოსურთიერთობებისრეგულირებისკენ, რომელიცარგულისხმობსოკუპირებულიტერიტორიებისშეგუებას, მაგრამარცახალიტერიტორიების ოკუპაციას. აღნიშნული კვლევის შედეგად ჰიპოთეზა დადასტურდა. საქართველო არ ცვლისდასავლურიღირებულებებისაკენსწრაფვას, თუმცაარცრუსეთისფაქტორისუგულებელყოფასახდენს. მიმაჩნია რომ რუსულ ქართული ურთიერთობების დარეგულირებაში დიდი როლი უკავია სამოქალაქო ჩართულობას, ტურიზმს ასევე სხვადასხვა სახის მიზანმიმართულ ღონისძებებს, თუმცაღა აღნიშნული ურთიერთობების დარგულირებაში პოლიტიკის როლი უაღრესად მნიშნელოვანია.

ჩვენი აზრით დროა საქართველომ დაიწყოს ურთიერთობის რეალურ რეჟიმში გადაყვანა და არა, ისევ აბაშძე-კარასინის ფორმატის გაგრძლაბა, რადგან აღნიშნულ შეხვედრებს ერთი პოზიტიური ქმედებაც კი არ მოჰყოლია. კვლევის წარმოებისას დაგვეხმარა მეთოდოლოგიური ჩარჩოები გამოყენება ძალთა ბალანსის, სექურითიზაციის და პოლიტიკური რეალიზმის თეორიები რომელთა გამოყენებით შევძელით სწორი დასკვნების გაკეთებამდე მივსულიყავით. საქართველომასევე უნდა გაამახვილოს აქცენტი პოლიტიკური ,,ვაჭრობის" ასპექტზედაგამოიყენოსისარსებულიმდგომარეობა, რომელშიცამეტაპზეპოლიტიკურითუგეოგრაფიულიმდებარეობიდანგამომდინარეიმყოფება. შესაძლოაამტიპისპოლიტიკაშიცბევრიარასასურველიფაქტორისგადალახვამოუხდესსაქა

რთველოს, თუმცაალოგიკურადმიმაჩნიარუსეთის, როგორცგარდაუვალიმეზობლისფაქტორისგაუთვალისწინებლობა, რომელსაცსხვასამხედრომლიერებასრომთავიდავანებოთ, რუსეთსბირთვულიიარაღიგააჩნია, რაცომისწამოწყებისაზრსიდეაშივეუნდაკლავდესპატარაქვეყნებისთვის. ვფიქრობ, რომრადიკალურიკურსისარჩევასაქართველოსნებისმიერიმიმართულებითყოველთვისძვირიდაუჯდება, რადგან მას არ გააჩნია საკმარისი ძალები თავის დასაცავად, შესაძლოაჩემიმოსაზრებაამშემთხვევაშიძალზედსუბიექტურია, თუმცალოგიკურია.

## ბიბლიოგრაფია:


1 ალ. ბენდიანიშვილი ,,ეროვნული საკითხები საქართველოში" 1801-1821წ

3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ

4. აშშ-ს კონგრესის კვლევითი სამსახური. საქართველო: ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და აშშ-ს ინტერესები 2013. გვ 39

5. გიორგი ანჩაბაძე; საქართველოს ისტორია მოკლე ნარკვევი; რედაქტორი ნაირა გელაშვილი კავკასიური სახლი თბილის 2005. გვ. 22

6. ედუარდ შევარდნაძე ; [ჩაიწერა] მამუკა არეშიძემ // საქართველოს რესპუბლიკა. - 1995. - 25 მარტი. - №32(1048). - 1,3 გვ.

7. ევროკავშირი და საქართველო - ,,პარტნიორობის პორტრეტი". ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. 2012. ბროშურა

8. ვლადიმერ პუტინი რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ, კომერსანტი, 2003 წლის 26 დეკემბერი, გვ.9 ( პოსტსაბჭოური პრესის თანამედროვე დაიჯესტი, #51, ტომი 55, 2004 წლის იანვარი, გვ.20)

9. Policy Brief ლევან კახიშვილი - საქართველო, რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასია: ოპტიმალური პოლიტიკის ძიებაში, მარტი 2015.

10. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი - საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი საქართველოს ოკუპაცია 1921 წ.

11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III

12. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მონაცემები/ 21იანვარი/2015

13. საერთო რედაქცია: მამუკა არეშიძე, ივან ტიმოფეევი - რუსეთი – საქართველო: ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო - თბილისი 2014.

14. საქართველოს რესპუბლიკა. - 1994. - 3 მარტი. - N34(837). - 1 გვ.

15. შ. ვადაჭკორია – ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921–1923წ.წ), თბ 1998;

16. შ. ვადაჭკორია – ქართული სოციალ–დემოკრატია 1917–1921 წლებში;თბ.2001 წ.

17. ჩავა ფრანქფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი - კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2009.

## ინტერნეტ რესურსები:

1 Николай Силаев, Андрей Сушенцов: Грузия после выборов и перспективы российско-грузинских отношений. Подробности: 2013г.http://regnum.ru/news/1620583.html

(უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2019)

2 Мирзаян Геворг, корреспондент отдела мировой политики журнала Эксперт, научный сотрудник Института США и Канады РАН - Перспективы российско-грузинских отношений. 2014г.https://sputnik-georgia.ru/radio/20170310/235152308/Mirzajan-ob-otnoshenijah-Rossii-i-Gruzii.html

(უკანასკნელად გადამოწმდა 17.03.2019)

3 FRENEMIES – რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის შესაძლებლობები 2016.

http://regional-dialogue.com/russia-georgia-cooperation/

(უკანასკნელად გადამოწმდა 19.03.2019)

4 დაპირისპირების ზრდა 2004-2008 წლებში გვ.16.საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია ტომი I ტომი II ტომი III 2009წ.

http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf

(უკანასკნელად გადამოწმდა 29.03.2019)

5 აქვს თუ არა ომს სხვა სახეც? 2012წ. რადიო თავისუფლება

https://www.radiotavisupleba.ge/a/war-other-face/24673159.html

(უკანასკნელად გადამოწმდა 15.04.2019)

6 „ომის სხვა სახე“2012წ. ახალი ამბები https://www.amerikiskhma.com/a/article--149096245/1209640.html

(უკანასკნელად გადამოწმდა 19.05.2019)

7 წიგნის “2008 წლის აგვისტოს ქვემეხები: რუსეთის ომი საქართველოში“ პრეზენტაცია 2009წ. https://www.gfsis.org/ge/events/presentations/view/291

(უკანასკნელად გადამოწმდა 21.05.2019)

8 მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა,რონალდ დ. ასმუსი 2010წ.

https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/press/cignebi/mcire-omi-romelmac-msoflio-shedzra.page

(უკანასკნელად გადამოწმდა 27.05.2019)

9 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა 2014წ.http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1027&info_id=10612

(უკანასკნელად გადამოწმდა 09.06.2019)

10 ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ 2015წ.

https://opendatablog.wordpress.com/2015/08/07/%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a4%e1%83%9d%1%83%a0%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%902008%e1%83%ac%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%92%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%9d/

(უკანასკნელად გადამოწმდა 11.06.2019)

11 ინტერვიუ კოლუმბიის უინვერისტეტის, ჰარიმანის ინსტიტუტის ხელმძღვანელ ალექსანდრ ქულისთან 2015წ.

http://www.amerikiskhma.com/a/august-8-war-alex-cooley/2909108.html

(უკანასკნელად გადამოწმდა 19.06.2019)